

K 224650
3

ოთარ ჯანელიძე



საქართველოს

ეროვნულ-დამობრატიული
პარტიის სათავეებთან





03160 ქათათვის სახლობის
ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ოთარ ჯავალიძე

საქართველოს
ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიის სათავეებთან

თბილისი

1997



საქართველოს ეროვნულ-დამოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების პროცესი ათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. ნაშრომში გაშუქებულია ამ პარტიის შექმნის პირველი ცდა, რომელშიც სხვებთან ერთად იღია ჭავჭავაძეც ყოფილა ჩართული. ნაწევნებია ის მიზეზები, რამაც ხელი შეუშალა ეროვნულ-დამოკრატთა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად ფორმირებას რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში.

რედაქტორი:

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

შ.ბადრიძე


რევიზიონი

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

მ.გაფრინდაშვილი

პოლიტიკურ მეცნიერებათა
დოქტორი

მ.მაცაბერიძე



ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში მოქმედ პალიტიკურ ძალთა შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაცული ზე გვიან ნარმოიშვა. თითქმის ექვსი ათეული წელი დასტირდა გდალეულთა თეორიული შეხედულებების პოლიტიკურ ყალიბში ჩამოსხმასა და დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდას. მომავალი ეროვნული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები ჯერ კიდევ იღლია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა ნააზრევში მომნითდა. ეროვნულ-დემოკრატიზმი სახელმწიფო ბიობანართმეულ და კოლონიურ ულელევები მოქცეული ერის განმანთავისუფლებელ მოძღვებად მოგვევლინა. მის გამოკვეთილ ლოზუნგად იქცა მოხევე ლელთ ლუნიას სიტყვით გაცხადებული „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. ეს იყო ქართული სახელმწიფო ბიობანართმეული დამოუკიდებლობის იღლასეული იდეა. იგი ერის დაცემული ვინაობის აღდგენის ვინწრო ბილიკით იწყებოდა, „დამჯდარი ჭურითა და მეცნიერებით“ წამლვარებულს ენის, მამულისა და სარწმუნოების დაცვის ეკლიან გზებზე უნდა ევლო და ქართველობა სამომავლო ეროვნული ბრძოლისათვის შეემზადებინა.

ახალი მსოფლმხედველობა წელა და ნინაალმდევობრივად მკვიდრდებოდა ქართველი ერის ცნობიერებაში. მას გააფირებით ებრძოდნენ თვითმყრობელობის აპოლოგეტები — უანდარმერია, პოლიცია, ცენტურა... ეროვნული თავისუფლების იდეას XIX ს. 90-იანი წლებიდან ახალი უარმყოფლება გამოუჩინდნენ „მესამე დასისა“ და მის მიმდევართა სახით. დაახლოებით ამავე პერიოდიდან იღლია ჭავჭავაძის თანამებრძოლობა რიგებიც გარევეულად შეივსო, უპირატესად სტუდენტი-ახალგაზრდობით. ახალი თაობა აქტიურად ჩაება პუბლიცისტურ საქმიანობაში. პრესა იმ დროს ერთი უმნიშვნელოვანესი ასპარეზი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა. თერგდალეულთა მცირერიცხოვანი დასი დიდ „ეროვნულ დარაზმულობად“ გადაიქცა, თუმცა პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა საგრძნობლად გაჭიანუდა.

საუკთარი პარტიის ჩამოყალიბებამდე ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის მიმდევართა ნაწილი „ივერიის“ გარდა გაერთიანებული იყო ეროვნულ-ლიბერალური გაზეთის „ცნობის ფურცლის“ გარშემო. ნიშანდობლივია, რომ თავის პროელამაციებს ეს ჯგუფი „ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის“ ან „ქართველ დემოკრატია კომიტეტის“ სახელით უშვებდა. ნაწილი ეროვნულ-დემოკრატი მოღვაწეებისა 1904 წელს შექმნილ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანდა და მისი მემარჯვენე ფრთა შეადგინა — იზიარებდა რა საქართველოს ავტონომიის ლოზუნგს და არ თანაუგრძნობდა პარტიის სოციალისტურ იდეოლოგიას.

რუსეთის პირველი რევოლუციის ხანაში, 1905-1906 წლებში ადგილი ჰქონდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების ცდას. პარტიის საპროგრამო დოკუმენტზე იღია ჭავჭავაძესაც მასა-ლები.

ეროვნულ-დემოკრატები იღიას თავიანთ იდეურ ნინამძღოლად და პოლიტიკური ორგანიზაციის ხელდამსმელად მიიჩნევდნენ. ერის დიდი მოძღვარი მართლაც იდგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის სათავეებთან.

ცნობილია, რომ იღია არ ყოფილა წევრი არც ერთი პოლიტიკური პარტიისა. მისი მხატვრული და პუბლიცისტური ნააზრევი არ თავს-დება ერთი, რომელიმე კლასის ან პარტიის პროგრამის ჩარჩოებში. ერის დიდმა მოძღვარმა თავად შექმნა საკუთარი პოლიტიკური იდე-ალი და სამოქმედო პროგრამა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ძალთა შეკავშირებას, — ყველა ქართველის, განურჩევლად წოდებისა, ერთად შეკვრას, — ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებას და მამულისათვის დაუცხრო-მელ სამსახურს გულისხმობდა. იღია ერთიანი საქართველოს, მთელი ქართველი ხალხის ინტერესების დამცველი და გამომხატველი იყო ყველგან და ყოველთვის.

“იღია არ იყო რომელიმე მებრძოლი პარტიის წევრი და ბელადი; ის არ იღებდა მონანილეობას პროპაგანდა-აგიტაციებში, იგი არ იდგა რევოლუციის ქარტეხილში წითელი დროშით ხელში; მან სანაქებოდ აასრულა თავისი დიადი როლი: 50 წლის განმავლობაში იგი დაუღალავად და თავდადებით ემსახურებოდა თავის უბადრუკ სამშობლოს და ქართველების გათვითცნობიერებას, — ვკითხულობთ ურნალ “ნიშანურში”.¹ მაგრამ იღიას ბიოგრაფიან ცნობილია ისიც, რომ მან სიცოცხლის ბოლო ნლებში პოლიტიკური პარტიის შექმნა განიზრახა და საამისოდ პრაქტიკული წაბიჯებიც გადადგა. (იღია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ამ საინტერესო დეტალს მიეძღვნა ქართველ მკვლევართა რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ შევხებით). რით იყო ეს გამოწვეული, რამ უბიძგა ხანდაზმულ პოეტს ამ წაბიჯისაკენ? ამ კითხვას რომ ეკაბასუხოთ, საჭიროა თვალი გადავავლოთ იმ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიასა და მის ორბიტაში მოქცეულ საქართველოში შეიქმნა.

ახალმა საუკუნემ თავისუფლების ახალი იმედები წარმოშვა და კიდევ უფრო განამტკიცა. სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან შევიწროვებული მასების მოთმინება “ხალხთა საპყრობილები” უკანასკნელ ზღვარს გადასცდა და სტიქიურ მღელვარებები გადაი-

ზარდა. მალე ეს მღელვარება ერთ ნაკადად შეიკრა და მძლავრ ტაური /
ლებად აზირორებული თვითმპყრობელობის ბასტიონს დაქანიშვილი ვად
დაეწვერა. 1905 წლის იანვარში პეტერბურგში რევოლუციამ დაშავა
იწყო. დედაქალაქის ბოძოქარი ექი მთელს იმპერიას გადასწვდა.
რუსეთი საერთო-სახალხო მოძრაობის მძვინვარე ხანძარში გაეხვია.
შექმნილმა ვითარებამ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ძა-
ლების წინაშე ბრძოლის ახლებური ფორმების აუცილებლობა დასა-
ხა. საჭირო გახდა "დიდი ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურ ორგა-
ნიზაციის იარაღით აღჭურვა, რათა დარაზმულ და შემტკიცებულ
ძალით დაცულ იქმნას ეროვნული ცხოვრების ლირებულებანი და
ამასთანავე, ეროვნულ კალაპოტში იქმნეს ჩამნცვდეული რევოლუ-
ციონურ მოძრაობის ტალღები"? სათანადო პირობებიც თავად
ცხოვრებამ, — რეალურმა სინამდვილემ მოამზიფა. 1905 წლის 18
თებერვალ გამოქვეყნდა უმაღლესი რესერიპტი, რომელიც ნებას
იძლეოდა მეფის სახელზე გაეგზავნათ "სახელმწიფო ეპი-
ლიმონიუმის სრულყოფის" წინადადებები, ხოლო შინაგან საქმეთა
მინისტრს დაევალა შედგომოდა სამზადისს კანონსათათბირო ნარ-
მომადგენლობითი ორგანოს მოსაწვევად.

რევოლუციის აღმავლობამ საზოგადოების ყველა ფენა გაააქტი-
ურა. ოპოზიციური განწყობილება სულ უფრო ფართოვდებოდა და
რადიკალურ ხასიათს იძნენდა. ერობათა ნარმომადგენლებმა მეფეს
წინადადებით მიმართეს რუსეთში სახალხო ნარმომადგენლობითი
ორგანოს შემოღების შესახებ. დამფუძნებელი კრების იდეა დემოკ-
რატიკულ ძალთა მხრიდანაც მხარდაჭერას ჰპოვებდა.

იაპონიასთან ომში საგარეო მარცხმა და ქვეყნის შიგნით სახალ-
ხო მოძრაობის გაქანებამ ცარიზმი იძულა წასულიყო დათმობაზე.
შიგანაგ საქმეთა მინისტრმა ბულიგინმა შეიმუშავა სათათბიროს
სტატუტი, რომელსაც ხანგრძლივი განხილვის შემდეგ მხარი დაუ-
ტირეს სახელმწიფო საბჭოს ნევრებმა, სენატორებმა და სხვა მაღა-
ლი თანამდებობის მოხელეებმა.

1905 წლის 6 აგვისტოს ნიკოლოზ II ხელი მოაწერა მანიფესტს
რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესაებ. ახალ ნარმო-
მადგენლობით ორგანოს საკანონმდებლო ინიციატივის გარკვეული
უფლებები ენიჭებოდა, მაგრამ ძირითადში იგი კანონსათათბირო
დაწესებულებად იყო ჩაფიქრებული, რომლის კომპეტენციას კანონ-
პროექტების წინასწარი შემუშავება და განხილვა შეადგენდა. სა-
თათბიროს მოწვევა ნავარაუდევი იყო არა უგვიანეს 1906 წლის იან-
ვრისა.

საზოგადოების მიშვნელოვანმა ნაწილმა, მიუხედავად იმისა,
რომ სახელმწიფო სათათბირო სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მის

საკონსტიტუციო მოთხოვნებს, მხარი დაუჭირა ახალ საქონებულოს და არჩევნებში მონაწილეობისათვის სამზადისს შეუდგა. მხოლოდ ბოლშევიკებმა არ ცნეს სათათბირო. ლენინი მთავრობის ამინდზე საზოგადოების გაბრიყვებად მიიჩნევდა, ხოლო სათათბირო უკავებდა ხალხო ნარმომადგენლობის თავხედურ დაცინვას უწოდებდა. ბოლშევიკურმა პარტიამ სათათბიროს ბოკოტი გამოუცხადა და გადაწყვიტა ცარიზმის ნინააღმდევ ბრძოლა შეიარაღებული აჯანყების გზით განეგრძო. ერთხანს ბოკოტის ტაქტიკას უთანაგრძნობდნენ რიგი მემარცხენე პარტიებისა საქართველოშიც, მაგრამ ამ უკანასკნელთ ბოლოს მაინც არჩევნებში მონაწილეობის მიღება ამჯობინეს.

სათათბიროს დაარსების განზრახვამ ქართველი საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

“სახელმწიფო სათათბიროში უნდა შევიდეთ, უნდა აღვნუსხოთ მთელი სინამდევილე. იქიდან ეს უტყუარი ფაქტები ყველას ყურამდე მიაღწევს და ხმას ამოიღებს მთელი ევროპა. სახელმწიფო სათათბიროში შესვლისთანავე უნდა მოვითხოვოთ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრა”,³ — ვკითხულობთ “პატარა გაზეთში”.

გ.ლასხიშვილის სიტყვით, სათათბიროს მომხრეებს ასეთი არგუმენტაციაც გააჩნდათ: “საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ხელს ვიღებთ რევოლუციის განვითარებაზე. პირიქით, საშუალება გვეძლევა არჩევნებში აგიტაციით პროპაგანდა გავწიოთ, ხოლო საპარლამენტო ტრიბუნა უძლიერესი იარაღი იქნება სარევოლუციო პარტიების ხელში ბრძოლის განსაგრძობადონ”.⁴

“ცნობის ფურცელი” ნერდა: “ეხლა ხალხი სულ არავითარ მონაწილეობას არ იღებს კანონმდებლობაში, არავითარი საშუალება არა აქვს კონტროლი გაუწიოს მთავრობის მოხელეებს, სახელმწიფო სათათბირო კი ყველა ამისათვის რამდენადმე მაინც გზას გახსნის, და, თუმცა ეს გზა ვინრო იქნება, მაგრამ სულ არარაობას ცალ უღელა ხარი სჯობია”.⁵

“ივერია” ხაზგასმის მიუთითებდა: “აუცილებელია არჩეულ დეპუტატების საშუალებით მონაწილეობის მიღება “დუმაში”, რათა ამ დანესებულების მონინავე ელემენტებთან ერთად მთელი ჩვენი ძალლონით იერიში მივიტანოთ და ხელი შევუნყოთ იმ ნესნყობილების დამხობას, რომელმაც ცეცხლსა და მახვილს მისცა მთელი საქართველო... კაცები გვჭირია, რომელთაც ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა უნდა ამცნონ მთელ რუსეთის საუკეთესო ნაწილს და თვით ევროპასაც. ვის შეუძლია ესა ჰქმნას ისე კარგად, ისეთის ავტორიტეტით, როგორც მომავალ დეპუტატებს?”⁶

ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ მითხიდა ილია ჭავჭავაძე /
სახალხო ნარმომადგენლობის იდეამ, რომელმაც პოეტს რესუსტუმები
რეფორმისტული (საკანონმდებლო) გარდაქმნის გზით სპეციალურ-
ლოს უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად პოლიტიკური პარ-
ტიის შექმნა უკარნახა?

XX საუკუნის დასაწყისიდან ილია, არსებითად, ჩამოშორებული
იყო საზოგადოებრივ საქმიანობას. მაგრამ, ჩანს, ახალმა იდეამ მას-
ზე ისეთი ზემოქმედება მოახდინა, რომ მხოლოდ მოღვაწეს პოლიტი-
კურ ცხოვრებაში ჩაბმის სურვილი აღუძრა. რა საფუძველი გვაქვს
ამგვარი განცხადებისა?

1905 წლის გაზაფხულზე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურ-
თა კრება გაიმართა. მის მუშაობაში ილია ჭავჭავაძეც მონაწილეობ-
და. კრებამ 18 თებერვლის რესკრიპტის საფუძველზე და ტახტის
მექვიდრის დაბადებასთან დაკავშირებით რუსეთის იმპერატორის
სახელზე გასაგზავნი ადრესი მიიღო. ამ დოკუმენტში, რომელიც
ილიას მონაწილეობითაა შედგენილი, ოფიციალურად პირველად
დაისვა საკითხი საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვ-
ნით.⁷ კიტა აბაშიძე გადმოვცემს: თავადაზნაურთა გაბეჭულების
იმედი არ გვქონდა, ამიტომ ქართველი ერის უფლებები მხოლოდ კი-
ლოკავად მოვიზესნიერო. მეფისადმი გასაგზავნ პეტიციაში ავტო-
ნომიის მოთხოვნა იჭავჭავაძის დაუინებით შევიტანეთ და კრებასაც
იგი ილიამ მიაღებინაო.⁸

თავად-აზნაურთა ადრესში ამავე დროს აღნიშნულია: "ქართვე-
ლი თავად-აზნაურობა და მასთან ერთად მთელი ქართველი ერი...
რუსეთის ხალხთან ერთად არის მტკიცედ დარწმუნებული, რომ ახ-
ლა შორს აღარ არის ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის
სხვადასხვა კუთხებში თავისუფლად არჩეული ნარმომად-
გენლები, განურჩევლად ეროვნებისა, მოაწესრიგებენ რუსეთ-
სა და მის განაპირა ადგილებს და სხვათა შორის საქართვე-
ლოსაც"⁹ (ხაზი ჩემი — ო.ვ.).

აյ ნათლად გამოსტვივის იმედი, რომელიც რუსეთში პარლამენ-
ტის დაარსების აზრს ილიას გულში ჩაუსახავს. რაკი ნარმომადგენ-
ლობით საკრებულოზე მნერალი საქართველოს საკითხის "მოწეს-
რიგების" იმედს ამყარებდა, ბუნებრივია, რომ მას ამ საკრებულოში
მონაწილეობის სურვილიც გასჩენდა.

ურნალისტი მალაქია ბოლქვაძე, რომელიც როგორც ქართული
გაზეთების (უმთავრესად "შრომის") კორესპონდენტი ესწრებოდა
და თვალყურს ადევნებდა პეტირბურგში მიმდინარე | სახელმწიფო
სათათბიროს სხდომებს, გადმოვცემს: "ილიას სათათბიროს იმედი

ჰქონდა... ხალხის პირველ ნარმომადგენელთა მუშაობა მისთვის წმიდათა წმიდას შეადგენდა... სათათბიროს ვრცელ და ლამაზ კულუარებში მაშინ სიცოცხლე სდულდა და გადმოდულდა. აქ ჰყაუტები რავად სცემდა ძლიერი მაჯა სახალხო ნარმომადგენლობისა".¹⁰ მე-იძლება აქ გარკვეულ გადაჭარბებასაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ფაქტია ის, რომ ილია დაინტერესებას იჩენდა და სისტემატიურად ესწრებოდა სათათბიროს სხდომებს. "ავადმყოფობა თუ არ შეუძლიდა ხელს, თორე არც ერთ კრებას არ გამოტოვებდა... მახსოვს ისეთი კრებები, როდესაც საბჭოს წევრთა ვრცელ ლოუპი მარტყა ილია იჯდა. იგი კმაყოფილი უცქერდა ხალხის ნარმომადგენელთა კრებულს. ეს იყო ქართველ მგოსნის, ქართველთა დალლილ მოღვანის კმაყოფილებაო", — დასძენს მ.ბოლქვაძე.¹¹

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო სა-თათბიროს არჩევნებთან დაკავშირებული საკითხის მოსაგვარებლად ილია პეტერბურგსაც იმყოფებოდა.

1905 წლის შემოდგომაზე რუსეთის თვითმშემნებლური მონარქიის არსებობას რევოლუციური ძალების მხრიდან რეალური საფრთხე დაემუქრა. მმართველი წრები იძულებული გახდნენ ლავირებისათვის მიემართათ. 17 ოქტომბერს გამოიცა მეფის ცნობილი მანიფესტი, რომელმაც რიგი დემოკრატიული უფლებები დაუშვა. ნიკოლოზ II ხელმონერით გამოქვეყნებულ უმაღლეს მანიფესტში ნათქვამი იყო: "მიენიჭოს ხალხს მოქალაქეობრივ თავისუფლების შეურყეველი საფუძველი, ისე რომ, ქეშმარიტად ხელშეუხებელი იყოს პიროვნება, თავისუფლება სინდისისა, სიტყვისა, კრებისა და კავშირისა".

მთავრობამ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულებაც შეიმუშავა, რომელიც 1905 წლის 11 დეკემბერს პრესაში გამოქვეყნდა. ამ დებულებით მომავალ პარლამენტში კავკასიელი დეპუტატების არჩევა გათვალისწინებული არ იყო. სწორედ ამის გამო კავკასიის მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშვილმა პეტერბურგს "კავკასიის ერების დელეგაცია" გაგზავნა.

ამასთან დაკავშირებით, პარიზში გამომავალი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაზეთი "საქართველო" კრიტიკულად წერდა: "ჩვენი საზოგადოება დამფუძნებელ კრების მოწვევის მოლოდინშია. ერთი რამ ანუხებს მხოლოდ, ვაი თუ ჩვენი ქვეყანა პარლამენტარულ რეჟიმის ფარგალში არ შევიდეს; ამგვარი შიში ისეთი დიდია ჩვენს საზოგადოებაში, რომ კავკასიის უმთავრეს ქალაქების თვითმმართველობათ გადასწყვიტეს, გავგზავნოთ პეტერბურგში კაცები და ვიშუამდგომლოთ, პარლამენტარიზმის "სიკეთენი" ჩვენც გვარგუნონ. ამოდენა დარბაისელ და სერიოზულ ხალხს სჯერა, გულით სჯერა, რომ მთავრობას მართლაც სურს

დამფუძნებელ კრების მოწვევა".¹² ქართველთაგან დელეგაციაში შედიოდნებ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი უსურელისამ მისის შესახებ საინტერესო მოგონება შემოგვინახა გურიული შესახებ კავკასიელი დელეგატები სახელმწიფო სამართლების უმაღლეს კარი-სიის" სხდომაზე მიიწვიეს. სხდომას თავმჯდომარეობა გრაფი სოლსკი. აქვე იყვნენ მინისტრები ვიტტე, დურნოვო და საპტოს სხვა ნევრები. ილიამ თავის გამოსვლაში დახატა კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს უმწეო მდგომარეობა და მისი უფლებების გაფართოება მოითხოვა. გრაფ სოლსკის კითხვაზე, "განა შესაძლებელია კავკასიის დაერთოს ნება დეპუტატების არჩევისა, როდესაც იქ საშინელი რევოლუციური ამბოხება ხდება"-ო, ილიამ მოურიდებლად მიუგო: "შეიძლება კი არა, აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა იყოს გავრცელებული კავკასიის მხარეზედაც ეგ რეფორმა და ჩვენც უნდა მოგვეცეს უფლება ჩვენი დეპუტატების არჩევისა და თუ ასე არ მოხდა, მე ჩემს თავს მოვალედ ვრცხს გამოგიცხადოთ, რომ ახალ შეურაცხყოფას ევლარ მოითმენს ჩვენი ხალხი, და თქვენ იძულებული იქნებით ზღვა სისხლი დალვაროთ თქვენი სოლდათებისა აღშფოთებულ კავკასიის მოსახლეობასთან შებრძოლებაშიო".¹⁴

დელეგაციის ვიზიტმა ნაყოფი გამოიღო, — კავკასიის სათათბიროს არჩევნებში მონანილეობის ნება დაერთო. 1906 წლის იანვარში წარგზავნილები თბილისში დაბრუნდნენ.

იმხანად გაზრითი "ივერია" შენიშნავდა: "გამოცხადდა თუ არა რუსეთში პირველი პარლამენტის მოწვევის ნესი, ხელად გაჩნდა ჩვენშიაც რამდენიმე ახალი პარტია და გაჩაღდა აგიტაცია. ახლა ყველამ დაინახა, რომ პარტიიების არსებობა აუცილებელი პირობაა პარლამენტარულ ცხოვრების და პოლიტიკურ ბრძოლისა. ქართველი ინტელიგენციის დიდმა ნანილმა... დაინახა, რომ ერის დაყოფა პარტიებად საჭირო და აუცილებელია პოლიტიკურ ცხოვრებაში "იდეების" პრაქტიკულ განსახორციელებლად... თუ წინად ბევრი ქართველი პატრიოტი სამშობლოს დამღუპველად სთვლიდა "პარტიობას" და პარტიების გასაჩინად მოქმედებას, დღეს თვითონვე ცდილობს სადმე პარტიაში თავის შეფარებას ან ახალი პარტიის შედგენას".¹⁵

დაახლოებით ამავე პერიოდში — 1906 წლის თებერვალ-მარტში — პრესაში ჩნდება ცნობები, რომ ილია ჭავჭავაძე აარსებს პოლიტიკურ პარტიას: "თბილისში არსდება ახალი ლეგალური პარტია. პარტიის მეთაურებად არიან თავ. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი", — იუნიებოდა გაზრით "კავკაზსკოე უტრო".¹⁶ "ცნობის ფურცელმა" არსებითად გაიმეორა ეს ინფორმაცია: "როგორც "ვოზრაჟდენიეს" გაუგონია, ტფილისში არსდება ახალი ქართული ლეგალური პარტია. ამ პარტიის მეთაურებად არიან თავ. ილია ჭავ-

ჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი".¹⁷ "პატარა გაზეთმა" გხეცნობები "უცნაურ ამბად" მონათლა: "გაზ. „ვოზროვდენიემ“ და მეტრე „ცნობის ფურცელმა“ უცნაური ამბავი გამოაცხადეს, ამ დღეებშე ში ახალი პოლიტიკური პარტია არსდება თ. ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის მეთაურობით".¹⁸

თბილისის გაზეთების ცნობა პეტერბურგის პრესამაც აიტაცა. 1906 წ. 11 აპრილს გაზეთი "სტრანა" ნერდა: "შეიქმნა ქართული დემოკრატიული პარტია, ამასთან საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა ნამოყენებულია როგორც პროგრამის ძირითადი პუნქტი. არჩეულია პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ქართველი ინტელიგენციის ცნობილი ნაწილი ნაწილი მოთხოვნა მოიდარის პროგრამის შედგენაში ენერგიული მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო საბჭოს ნევრად არჩეულმა თავადმა ჭავჭავაძემ".¹⁹

რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს ზემოაღნიმნული ცნობები? არსებობს თუ არა დამატებით სხვა მონაცემები, რომლებიც გაზეთების ამ ცნობებს ადასტურებდნენ? ამ კითხვებზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ. საბედნიეროდ, ისტორიაში შემოგვინახა რამდენიმე საყურადღებო მოგონება, ხოლო ილიას არქივს ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებული ზოგი დოკუმენტიც შემორჩია. მოგონებები ცნობილ ქართველ მოღვაწეებს — ექვთიმე თაყაიშვილს, ალექსანდრე ასათიანს, გიორგი გვაზავასა და სხვ. ეკუთვნით.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ექვთიმე თაყაიშვილის არქივში ინახება უაღრესად საინტერესო მოგონება სათაურით: "პოლიტიკური მიმართულება ილიასი". იგი სრულად გამოქვეყნებული არ არის და, შეიძლება ითქვას, მკლევართა ყურადღების მიღმაც დარჩია. მოგონებაში ვკითხულობთ: "...ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება სუფეს საქართველოში მას აქეთ, რაც საქართველომ იცნო თავი მოტყუებულად რუსეთის მიერ და ნაცვლად პროტექტორატისა და დაცვისა, მოახდინა ანექსია საქართველოსი...".

ნაციონალ-დემოკრატიკული პარტია მომდინარეობს მესამოცენლებიდან გასული საუკუნისა და ამ პარტიის მედროშე არის ილია ჭავჭავაძე. მართალია, პარტიის თავის დაწერილი ნესდება და პროგრამა არა პქონია დაბეჭდილი და საჯაროდ გამოქვეყნებული, ვინაიდან ეს არ შეიძლებოდა იმ დროის პირობებში, მაგრამ პირველი რევოლუციის დროს, 1905 წელს, შესაძლებელი დარჩა ნესდების შედგენა; ჩვენ უკვე შევადგინეთ ილიასვე თავმჯდომარეობით და ლოცვა-კურთხევით".²⁰

იგივე ექვთიმე თაყაიშვილი თავის ემიგრანტულ ჩანაწერებში მო-
უთითებს: „პავლე თუმანიშვილის პოლიტიკური მიმართულებული წალე-
ციონალ-დემოკრატიული იყო და მისი მონანილეობით და რელიგიური
ჭავაძის თავმჯდომარეობით გამომუშავდა პირველი საჯარო ოფი-
ციალური პროგრამა ამ პარტიისა, რომელიც მან თავისი ხარჯით
დაბეჭდა”.²¹

ცნობილი ქართველი ლიტერატორისა და პუბლიცისტის ივანე
ზურაბიშვილის ბიოგრაფები გადმოგვცემენ: „...ეიტა აბაშიძემ წარ-
მოადგინა დებულება: დადგა მომენტი, როდესაც საქართველოში
უფრო გარკვეული ეროვნული ხაზის მიმართულება უნდა შეიქმნა-
სო. ამის გამო საუბარი ყოფილა ალექსანდრე (საშიკო) ორბელიანის
სახლში ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით. ილიამ ეს მოსაზრება გაი-
ზიარა. და ცოტა ხნის შემდეგ ილიამ (1904 წ.) მოიწვია საადგილმამუ-
ლო ქართულ ბანეში ყრილობა, რომელსაც დაესწრო 80 თუ 85 კაცი
(მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილი, ვასო ყიფიანი, გიორგი გვაზავა,
პავლე თუმანიშვილი, ნიკო თავდეგირიძე და სხვანი). ილიამ ამ კრება-
ზე წარადგინა წინადადება ეროვნული და დემოკრატიული მოძრაო-
ბის შექმნისა.

ეს წინადადება ყველამ გაიზიარა და როდესაც თავმჯდომარის
არჩევის რიგი დადგა, რა თქმა უნდა, ეს მას თვითონ შესთავაზეს,
მაგრამ ილიამ კატეგორიული უარი განაცხადა და კრებას ურჩია ამ
პოლიტიკური საქმიანობისათვის ახალგაზრდა ივანე ზურაბიშვილი
აერჩიათ...

ამ ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის შემუშავებაში მონანი-
ლეობა მიიღო რამდენიმე კაცმა და მათ შორის გიორგი გვაზავამ.
ეს პროგრამა დაიბეჭდა ათი ათას ცალად პავლე თუმანიშვილის ფი-
ნანსიური დახმარებით”.²²

ალექსანდრე ასათიანი მოვითხოვთ: „მესამოციანთა ეროვ-
ნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ პარტიად ჩამო-
ყალიბების ცდას უკვე 1905 წელს ჰქონდა ადგილი. მესამოციანებმა
დაინახეს, რომ ეს აუცილებელი იყო მათი ძველი ნამოლვანარის და-
საცავად და ახალის განსაგრძობათ... ილია ჭავჭავაძის მეთაურობით
ეწყობა თათბირები, სადაც გადაწყდა პოლიტიკური პარტიის დაარ-
სება ეროვნულ-დემოკრატიული სახელწოდებით. შემუშავებულ იქმ-
ნა და დაბეჭდილი პარტიის პროგრამა და წესდება, მაგრამ საქმე არ-
სებითად ამას ვერ გასცილდა”.²³ ამასვე აღნიშნავს ალ.ასათიანი თა-
ვის ავტობიოგრაფიაში, სადაც წერს: „თვითონ ჭავჭავაძემ დაიწყო
ეს საქმე და ურცელი პროგრამაც შეადგინა „ეროვნულ-დემოკრატი-
ული პარტიისათვისთ”.²⁴

სპირიდონ კედია მიუთითებს: “ილია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური პარტიის დაარსება და 1905წელს; გა იგი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აარსებს. მას აზრადულებულია პარტიის მხრებზე გადმოასცენოს ის ტვირთი, რომელსაც საქართველო ერქვა და რომელიც მან მთელი ორმოცდაათი წელინადი მარტოდ-მარტო ზიდა და ატარა როგორც ერის ბელადმა”.²⁵

გიორგი გვაზავას სიტყვით: “დავბეჭდეთ 10 ათასი ცალი... პროგრამისა და გავავრცელეთ ხალხში. ავირჩიეთ პრეზიდიუმი. პარტიის ბეჭედზე ამოქრილი იყო “საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია”. ამით დაიწყო პარტიული მუშაობა”.²⁶

რაც შეეხება ილიას არქივს: “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდში (N1015-1016) დაცულია შემდეგი დოკუმენტები: “ქართველ ავტონომისტთა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის” დაარსების პროექტი და მისი მანქანაზე გადაბეჭდილი პირი (რუსულად); თოთხმეტი პუნქტისაგან შემდგარი რუსულ ენაზე შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია ქართველი ერის მოთხოვნები; რუსულ ენაზე დაწერილი “პროგრესისტთა ქართული ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა”, რომელიც 33 მუხლისაგან შედგება და მანქანაზე რუსულად გადაბეჭდილი თხეოთმეტ მუხლამდე შემოკლებული მისი ვარიანტი. არც ერთი დოკუმენტი ხელმოწერილი არ არის და არც თარიღი უზის.

ხსენებული დოკუმენტები პირველად მოიძია ისტორიკოსმა პ.რატიანმა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი დაცული ყოფილა ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავ ფონდში. პ.რატიანმა, მისივე სიტყვით, მოვცა “ამ დოკუმენტების ზოგადი ანალიზი”. მანვე არასრულად გამოაქვეყნა და დროის შესაფერისად გაარჩია კიდეც ილიას საქმეებში დაცული “პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის” პროგრამა.²⁷

პ.რატიანის ხსენებული წიგნის გამოცემიდან სამი ათეული წლის შემდეგ, 1985 წელს ვ.აბაშმაძემ გამოაქვეყნა ილიას ფონდში დაცული “ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნის პროექტისა” და “პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული” (კონსტიტუციურ-დემოკრატიული) პარტიის პროგრამის” ქართული თარგმანი, რომელთაც რამდენიმე გვერდინი გამოკვლევა დაურთო.²⁸ 1986 წელს მანვე აღნიშნულ პრობლემას კიდევ ერთი ნაკვევი მიუძლვნა.²⁹ თავისი პუბლიკაციებით ვ.აბაშმაძემ “არსებოთად სწორად შეაფასა ამ მასალების სამეცნიერო მნიშვნელობა” და

“ჩვენში საფუძველი დაუდო ამ დოკუმენტებისადმი ახალ დაწინტერეს-
სებას”.³⁰



ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნასთავ დაუდო
კავშირებული ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიას ფონდში თავმოყრი-
ლი დოკუმენტები ორიგინალში მთლიანად გამოაქვეყნა გ.მამული-
ამ.³¹ მანვე თავის რამდენიმე ნარკვევში ეს მასალები არქეოგრაფი-
ული თვალსაზრისითაც განიხილა.³²

აღნიშნულ ავტორთა ნერილებს ფართო დისკუსია მოჰყვა. მასში
ჯერ შ.ბადრიძე,³³ ხოლო შემდეგ ლ.ალექსიძე³⁴ და გ.შარაძე³⁵ ჩაებ-
ნენ. გ.მამულია და ვ.აბაშმაძე შეეცადნენ დაეცვათ თავიანთი ადრე
გამოთქმული თვალსაზრისის.³⁶

რამ გამოიწვია დისკუსია, რა არის დასახელებულ მკვლევართა
მეცნიერული დავის საგანი? მეცნიერული კამათისა და პაექრობის
საგნად აღნიშნულ ავტორთა შორის იქცა გარკვევა იმისა, თუ პოე-
ტის ფონდში დაცული დოკუმენტებიდან რომელია ილიას ხელით
დაწერილი და რომელი ეკუთვნის სხვას. ამის გარკვევას პრინციპუ-
ლი მნიშვნელობა აქვს და, ბუნებრივია, მეცნიერთა დავაც ამიტომ
გაჭიანუდა. როგორ გადავწრათ საკითხი?

ერთის წუთით დავუშვათ, რომ ი.ჭავჭავაძის ფონდში შემორჩენილი
ხსენებული მასალებიდან არც ერთი არ არის ილიასეული — მის მიერ
შედგენილ-დაწერილი. ხომ შეიძლებოდა ეს დოკუმენტები პოეტის არ-
ქიფში სხვა გზითაც მოხვედრილიყო, მაგალითად, ისინი ილიასათვის გა-
საცნობად და აზრის გამოსათქმელად მიეტანათ, ილიას კი პარტიის
პროგრამის პროექტი წაეყითხა და ოდენ ჩაესწორებინა? ეს კითხვა სავ-
სებით ლოგიკური ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავს შემთხვე-
ვებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაში სხვა დროსაც ჰქონია ადგილი. გრი-
გოლ ყიფშიძის სიტყვით: “არც ერთი შესამჩნევი საზოგადო მოვლენა
ისე არ ჩაივლიდა, რომ ილიას არ მიეღო ასეთი თუ ისეთი მონაწილეობა...
ჩვენის ქვეყნის ყოველი კუთხიდან მასთან იკრიბებოდა ყველა, რომ ან
რჩევა ეკითხა, ან შემწეობა და დახმარება ეთხოვა, ზნეობრივი გამხსნევე-
ბა და ლოცვა-კურთხევა მიეღო ამა თუ იმ საზოგადო საქმის დაწყები-
სათვის”.³⁷ საილუსტრაციოდ აქ ერთ ფაქტს დაუმოწმებთ გ.ლასხიშვი-
ლის მოგონებიდან: “მიხა ჩოლობიშვილს და გიორგი ლასხიშვილს ხელო-
სანთა არტელის წესდება შეუდგენიათ, შემდგომ საგურამოში ასულან
და ილიასთვის რჩევა უკითხავთ. ილიას წესდება წაუკითხავს და შენიშ-
ვნაც მიუცია: “აქ სულ ხელოსანთა უფლებებზეა ლაპარაკი, მოვალეო-
ბაზე კი არაფერია. სადაც უფლებაა, იქ მოვალეობაც უნდა იყოს. სა-
თანად შესწორება იქვე შევიტანეთ წესდებაში” და რამდენიმე საათის
შემდეგ თბილისში დავბრუნდითო, — იგონებს გ.ლასხიშვილი.³⁸

მიუხედავად რიგი ანალოგებისა, ზემოაღნიშნული ვარიაციი (რომ ილიამ სხვისი შედგენილი დოკუმენტი ჩაასწორა მხოლოდ) უნდა გამოირიცხოს, რადგან ამგვარ აზრს აპათილებს თვით ილიამის ფაქტის სიტყვები გიორგი უურულისადმი წერილიდან, რომელიც 1906 წლის 6 მარტითაა დათარიღებული. “რაც პეტერბურგიდამ მოვედი, სულ ჩვენ ჯერ კიდევ შარშანვე შედგენილ პროგრამაზე გვაქვს თავის ხეთქა. არ იქნა, ამ უკვე გათავებულს საქმეს ბოლო არ მოელოო”, — ნერს ილია³⁹ (ხაზი ჩემია, — ო.ჯ.).

ცნობილია, რომ სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის წარმომადგენელთა მონანილეობის საკითხის მოსაგვარებლად ილია, 6.ნიკოლაძე და გ.უურული პეტერბურგს 1905 წლის ზამთარში იმყოფებოდნენ და იქიდან 1906 წლის იანვრის პირველ ნახევარში დაბრუნდნენ.⁴⁰ გამოდის, რომ ილია უკვე შედგენილ პარტიის პროგრამაზე ერთ თვეზე მეტ ხანს მუშაობს. წარმოუდგენელია სხვათა შედგენილ დოკუმენტზე (თუ თვითონაც ამ საქმის მონანილე არ არის) მხცოვან პორტს ამდენ ხანს “ეხეთქოს თავი”. ეგცე არ იყოს, აკი მიუთითებს — “ჩვენ შედგენილ პროგრამაზე მაქვს თავის ხეთქაო”.

გარდა ი.ჭავჭავაძის წერილისა, საიდანაც ირკვევა, რომ ილიას შეუდგენია პარტიის პროგრამა, ჩვენ მოგვეპოვება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და წინამძღვალის ალექსანდრე ასათიანის ცნობა, რომელშიც ნათქვამია: “დიდი ილია იმუშავებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას და თავის ლაშქარს დიდ ეროვნულ პარტიის შექმნისათვის მოუწოდებს”. “ეროვნულ-დემოკრატიული დარაზმულობა დაემყარა იმ საფუძვლებს, რომელიც მტკიცედ იყო ჩამოქნილი და ჩამოყალიბებული მესამოცანელთა იდეურსა და პრაქტიკულს მოღვაწეობაში”. დიდი ილია და მისი სახელოვანი დასი იყო ჩვენი დარაზმულობის სულის ჩამდგმელი და აზრის მიმცემი.⁴¹

თუ ყოველივე ზემოთქმულს იმასაც დავაუმატებთ, რომ მნერლის არქივში დაცული პოლიტიკური პარტიის შექმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი მასალის ხელნაწერი (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, — რომელი), მკვლევართა დასაბუთებით, ნამდვილად ილიას ეკუთვნის, სავსებით ცხადი უნდა იყოს, რომ ი.ჭავჭავაძეს მონანილეობა მიუღია ქართული ეროვნული პარტიის ჩამოყალიბების ცდაში.

პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოში 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდშიც არსებობდნენ, მაგრამ მეცის 17 ოქტომბრის მანიფესტმა, რომელმაც კავშირების შექმნის ნება დართო, ეს პროცესი უფრო გააიოლა, — ახალი პარტიის უკვე ლეგალურად ყალიბდებოდა.

საქართველოში მოქმედ სოციალ-დემოკრატიულ, სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიებსა და პირველი რევოლუციის წლებში რამდენიმე ახალი ორგანიზაციის შექმნა გვიჩვენა, — ზოგი დამოუკიდებელი, ზოგიც რუსეთის პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის სახით. იმდროინდელ პერიოდულ პრესაში მრავლადაა ცნობები სხვადასხვა პარტიების დაარსების შესახებ, გამოქვეყნებულია პარტიათა პროგრამები, მოიპოვება მასალები ცალკეულ ორგანიზაციათა საქმიანობის თაობაზე. ახალი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება საქართველოში I სახელმწიფო სათათბიროს ნინასაარჩევნო კამპანიას დაემთხვა და უმთავრესად ამ მოვლენითვე იყო შეპირობებული. რუსეთის სახალხო ნარმომადგენლობით ორგანოში მონაწილეობის მიზნით შეიქმნა საქართველოს რადიკალური პარტია, ქართული დემოკრატიული პარტია, ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია (დაარსდა ქუთაისში), პატრიოტული პარტია, რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაცია და სხვ. ზოგიერთმა მათგანმა დეპუტატობის კანდიდატები დამოუკიდებლად წარადგინა, ხოლო რადიკალური და დემოკრატიული პარტიები სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან საარჩევნო ბლოკში გაერთიანდნენ ("მემარცხენე" პარტიების ბლოკი) და საერთო კანდიდატები წამოაყენეს.

გ.ლასხიშვილის "მემუარებში" შეცდომითაა აღნიშნული, რომ "ტფილისში ჩვენი პარტია (სოციალისტ-ფედერალისტთა, — ი.ჯ.) საარჩევნო შეთანხმებით შეეკრა რადიკალების და ქართველ ავტონომისტების პარტიებს".⁴² ასევე არასწორად აიგივებს ერთმანეთთან ქართულ დემოკრატიულ პარტიას და ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას არჩილ ჯორჯაძე.⁴³ ამასვე დაუინებით იმეორებს გ.მამულიაც.⁴⁴ სინამდვილეში ეს ორი სხვადასხვა პარტია იყო: ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია დაარსდა ქუთაისში. მის ხელმძღვანელ ბირთვს შეადგენდნენ: კ.ჩიკვაიძე, კ.ლორთქიფანიძე, დ.კვირველია, დ.მიქელაძე, დ.ნიუარაძე და დ.ნულუკიძე. ამ პარტიის დეპუტატობის კანდიდატებმა ქუთაისში დამოუკიდებლად მიიღეს მონაწილეობა | სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში.

ქართული დემოკრატიული პარტია თბილისში ჩამოყალიბდა. პარტიის ბიუროში შედიოდნენ: ვ.ლამბაშიძე, ვ.რცხილაძე, პ.თუმანიშვილი, ივ.ზურაბიშვილი და ლ.ჩერქეზიშვილი.⁴⁵

ცნობილია, რომ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ქართულ სინამდვილეში პირველი ეროვნული პოლიტიკური

ორგანიზაცია იყო. მართალია, იგი ოფიციალურად პარტიის სახელს 1904 წლის აპრილში უწევაში გამართულ კონფერენციიზე გაფორმდა, მაგრამ მანამდეც და შემდგომშიც მისი წევრები აქტიურად მოისახებოდნენ საქართველოში. ეს პარტია თავდაპირველად თავის რიგებში აერთიანებდა სხვადასხვა მიმართულების (სოციალისტ-ფულერალისტები, ესერები, ანარქისტები, ეროვნულ-დემოკრატები) ახალი თაობის ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო ნარმობად გენლებს. გაერთიანების საფუძველს საერთო ეროვნული ნიადაგი ნარმოადგენდა. რევოლუციური მოძრაობის გაღრმავების კვალობაზე, დროთა განმავლობაში, პარტიაში უფრო მძაფრი დიფერენციაცია მოხდა, რამაც ორგანიზაციის გაყოფა აუცილებელი გახდა. "ჩვენს პარტიაში (სოციალისტ-ფულერალისტების, — ო.ჯ.) სოციალიზმი ძლიერ სუსტობს და ნაციონალ-დემოკრატიზმს კი დიდი გასავალი აქვს. ამ გარემოებას უსათუოდ ბოლო უნდა მოუღოთ. ნაციონალ-დემოკრატებს უნდა დავშორდეთ, ნინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ყოველთვის ნინააღმდეგი იქნება ჩვენი", — ნერდა არჩილ ჯორჯაძე ანდრია დეეპანზიშვილის 1905 წლის 31 ივლისს.⁴⁶

ამ ნერილიდან ნათლად ჩანს, რომ უკვე 1905 წლის ზაფხულში სოციალისტ-ფულერალისტთა პარტიის შიგნით მომნიჭებულა აზრი და ნიადაგიც პარტიის გაყოფისა და ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ცალკე ჩამოყალიბებისა.

სხვათა შორის, ამასვე ადასტურებს პოლიციის თბილისის დაცვის განყოფილების აგენტურული ცონბებიც, სადაც აღნიშნულია შემედგი: 1905 წელს სოციალისტ-ფულერალისტთა პარტიაში ნარმოიშვა ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ქართველ დემოკრატთა პარტიად ჩამოყალიბდა. ამ პარტიამ ფაქტიურად მცირე ხანს იარსება, მაგრამ მისი იდეები ახლაც ცოცხლობენ (ცნობები განეკუთვნება 1910 წელს, — ო.ჯ.). ამ პარტიის მიზანი იგივეა, რაც ფულერალისტებისა, მაგრამ განსხვავებაა, მიზნის მიღწევის გზებში, სახელდობრ: სოც-ფულერალისტები აღიარებენ რევოლუციურ გზას, დემოკრატები კი ნაციონალურ-პროგრესულ განვითარებისას.⁴⁷ სწორედ ამ დროიდან უნდა ერთვებოდეს საქმეში ილია ჭავჭავაძეც.

საილუსტრაციოდ ერთ დოკუმენტურ წყაროსაც მოვიხმობთ, რომელსაც ქართული ლიტერატურის მუზეუმში მივაკვლიერთ. ეს არის იაკობ გოგებაშვილის წერილი იაკობ ფანცხავასადმი, დათარიღებული 1905 წლის 19 სექტემბრით. იაკობი წერს: "...გუშინ ჩემს სადგურში პატარა კრება იყო, რომელსაც დაესწრო სხვათა შორის პროფესორი ცაგარელი, ილია ჭავჭავაძე და სხვები და ერთი საკითხის შესახებ ხანგრძლივი ლაპარაკი გვექონდა. გადაწყვეტილება, რო-

მელიც მივიღეთ მალე ეცნობება... აქეთ და იქით საქართველოში მხოლოდ ეს ჯერ უნდა იცოდეთ მარტო თქვენ და ნიკო ნერიაშვილი დებ".⁴⁸

დიდი მნერლის ფონდში დაცული მასალები საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ყალიბდებოდა მომავალი პარტიის საპროგრამო დოკუმენტები.

მევლევარები თვლიან, რომ ამ დოკუმენტთავან პირველად შედგენილი უნდა იყოს "პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" 33 პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა (ლ.ალექსიძე, გ.შარაძე). გ.შარაძის აზრით, ეს დოკუმენტის 1905 წლის 17 ოქტომბრამდე უნდა შეედგინათ, რადგან მასში არც 17 ოქტომბრის მანიფესტი და არც 12-18 ოქტომბერს დაფუძნებული რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია არ იხსენიება.⁴⁹

პროგრამის ტექსტზე დაკვირვებით შესაძლებელი ხდება ამ თარიღის კიდევ უფრო დაზუსტება. პროგრამის დასკვნით ნანილში აღნიშნულია, რომ "...ჩენ სავსებით უურთდებით მთელი რუსეთის მინა-ნყლის ძლიერ ხმას საყველთაო, ფარული, ყველასათის თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საწყისებზე დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, სადაც ყველა ეროვნების, მათ შორის ქართველების, თავისუფლად არჩეული ნარმომადგენლები შეუდგებიან თანასწორობის, თავისუფლებისა და სამართლის საწყისებზე რუსეთის სახელმწიფოს მოწყობის შესახებ საკითხთა გადაწყვეტას და დაამყარებენ ჩენს მიერ მოთხოვნილი ქართველი ხალხის სულიერი და ეკონომიკური ძალების თავისუფლად განვითარების ბუნებით ნორმალურ პირობებს" (ხაზი ჩემი, — ო.ვ.).

აშეკარაა, რომ ეს დაწერილია 1905 წლის 6 აგვისტომდე, ვიდრე გამოქვეყნდებოდა ნიკოლოზ II მანიფესტი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. თუ პროგრამას 6 აგვისტოს შემდეგ შეადგენდნენ, მასში დამფუძნებელი კრების ნაცვლად, აღბათ, ჩანერილი იქნებოდა იმპერიის სახალხო ნარმომადგენლობითი ორგანოს ზუსტი სახელი — სახელმწიფო სათათბირო. აკი ილიას იმავე ფონდში დაცულ შემდეგ დოკუმენტში (N1016), ეს ასეცაა.

აქვე შევწინავთ, რომ ამ დოკუმენტის ამგვარი დათარიღება ლ.ალექსიძეს შეუძლებლად მიაჩნია. მისი აზრით, "ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ "პროგრესისტთა" პროგრამა 1905 წლის 6 აგვისტომდე, ე.ი. სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების გამოცხადებამდე, შექმნილიყო", მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ "პირველად 1905 წლის ივნისის დამლევს გახდა ცნობილი გაზეთებიდან".⁵⁰

ამ შეხედულებას ვერ გავიზიარებთ რამდენიმე გარემოების გა-
მო. ვერ ერთი: მართალიც რომ იყოს განცხადება — სახელმწიფო
სათათბიროს შესახებ პირველად 1905 წლის ივნისის ბოლოს გა-
გაზეთებიდან ცნობილი, — ერთი თვე, — ივლისი, — საკმარისი იქ-
ნებოდა პარტიის პროგრამის შესადგენად; მეორე: რაც მთავარია,
თვით ეს განცხადება არ არის სწორი, რადგან აზრს რუსეთში სა-
თათბირო წარმომადგენლობითი ორგანოს მოწვევის შესახებ შეი-
ცავდა ჯერ კიდევ მეფის 1905 წლის 18 თებერვლის უმაღლესი რეს-
კრიპტი, რომელიც მაშინვე გამოქვეყნდა პრესაში და საყველთაოდ
ცნობილი გახდა, და მესამე: ზემოთქმულს რომ თავი დავანებოთ, გა-
ნა პოლიტიკური პარტიის სახელმწიფო სათათბიროს იდეამდე არ
არსებოდნენ? გაუგებარია, რატომ იქნებოდა შეუძლებელი კიდევ
ერთი ახალი პარტიის დაარსება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ
ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდში თავმოყრილი
მასალები ახალი პოლიტიკური პარტიის ირგვლივ, განხილვა-დამუ-
შავების პროცესში მყოფი დოკუმენტებია. თვალსაჩინოა, რომ სა-
ხელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცვალებად მოვლენებს
ამ დოკუმენტებშიც გარკვეული ცვლილებები შეუტანია: მაგალი-
თად, 17 ოქტომბრის უზენაესი მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ,
დეკლარაციის პროექტში პარტიის დაარსების შესახებ, ამ მოვლენას
პოლიტიკური შეფასება მიეცა, რაც ამგვარი დოკუმენტისათვის
სრულიად ბუნებრივი ჩანს.

გადაკეთებათა და ცვლილებათა პროცესი პარტიის სახელნოდე-
ბასაც არა ერთგზის შეხებია, რაც სრულიად აშკარაა ხსენებული
დოკუმენტებიდან (ეს არც არის გასაკვირი, რადგან რევოლუციურ,
უღრესად დინამიურ დროში მოვლენები კალეიდოსკოპით ცვლიდ-
ნენ ერთმანეთს. არა თუ თვეების მანძილზე, ახალი ქართული პოლი-
ტიკური პარტიის შექმნის ცდაში რომ გავიდა, არამედ დამფუძნებე-
ლი ყრილობის სულ რაღაც ხუთი დღის განმაჭლბაში (დამთხვეა ოქ-
ტომბრის საყველთაო პოლიტიკურ გაფიცვას), რუსეთის კონსტი-
ტუციურ-დემოკრატიული პარტიის მესვეურო რამდენჯერმე მოუხ-
დათ გადაკეთებინათ თავიანთი პარტიის საპროგრამო დოკუმენ-
ტები⁵¹). მივაქციოთ ყურადღება, გვხვდება სამი სხვადასხვა დასახე-
ლება: “პროგრესისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარ-
ტია”, “ავტონომისტთა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარ-
ტია” და “ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია”.

ბეჭდური სახით გამოცემულ პროგრამას კი ასე ეწოდება: “საქარ-
თველოს დემოკრატია და მისი პროგრამა”.

ამ ისტორიულ დოკუმენტს ჩვენ მივაკვლიერ საქართველოს მეც-

ნიერებათა აკადემიის კორნელი კექელიძის სახელობის ხელნაწერი /
თა ინსტიტუტის სიძველეთაცავში, რის შესახებაც დროულად მოწოდებული
ყა საზოგადოებრიობას.⁵²

პროგრამა თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატიის, საქართველოს
ეროვნული საბჭოს წევრის მიხეილ მაჩაბლის ფონდშია დაცული. აღ-
სანიშნავია, რომ იმავე ფონდში ინახება ეროვნულ-დემოკრატიაგან
გამოყოფილი საქართველოს ნაციონალური პარტიის პროგრამაც.

მას შემდეგ, რაც პროგრამის ზუსტი სახელწოდება გაირკვა, ხე-
ნებული დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკის იშვიათ წიგნთა საცავშიც მოვიძეეთ. აქ იგი ქართველ-
თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივი-
დან მოხევედრილა.

ეროვნულ-დემოკრატია პირველი ბეჭდური პროგრამის აღმოჩე-
ნა, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მოვლენაა: ჯერ ერთი, — დადას-
ტურდა ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი გვაზავასა და ალექ-
სანდრე ასათიანის ცნობები, რომ ეროვნულ-დემოკრატიული
პარტიის პროგრამა ნამდვილად დაიბეჭდა და მეორეც, — ამიე-
რიდან მკვლევარებს ხელთა აქვთ უტყუარი დოკუმენტური
წყარო იმის საილუსტრაციოდ, რომ ეროვნულ-დემოკრატია
მოღვაწეობა საქართველოს სინამდვილეში იწყება არა თებერ-
ვლის რევოლუციის შემდგომ, არამედ გაცილებით ადრე —
1905-1906 წლებიდან. პროგრამას გააჩნია ისტორიული ლირე-
ბულებაც, როგორც ჩვენი საუკუნის დამდეგის ქართული სა-
ზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი ძირი-
თადი მიმართულების გამომხატველ დოკუმენტს (რაც შეეხება
პარტიის წესდებას, რომელიც თითქოს ასევე დაბეჭდავთ, — იგი
დღემდე მიკვლეული არ არის).

ბეჭდური პროგრამის მიგნებამ სიცხადე შეიტანა ამ საკითხის
ირგვლივ წარმოებულ ქართველ მეცნიერთა ზემოთ აღნიშ-
ნულ პაექრობაში. საბოლოოდ გაირკვა, რომ 1906 წელს 18-19
იანვარს გაზეთ „ცნობის ფურცლებში“ გამოქვეყნებული
პროგრამა, როგორც ეს გ.მამულიას და ზოგიერთ სხვა მკვლევარს
მიაჩნდა, არ არის ილია ჭავჭავაძისეული დოკუმენტი და არც
ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა; დადასტურ-
და, რომ ილია ჭავჭავაძის არქივში პოლიტიკური პარტიის
ირგვლივ შემორჩენილი მასალები, როგორც შ.ბადრიძე შენიშ-
ნავდა, „განხილვა-დამუშავების პროცესში მყოფი დოკუმენ-

ტებია” და მათ დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე არა/აქვთ. საბოლოო ვარიანტი, რომელიც პეტფური სახით გამოსცული იყო სებითად ასახავს ამ დოკუმენტებს, მაგრამ განსხვავდება კოდეც მათგან. უპირველესად იმით, რომ თუ საარქივო დოკუმენტებში ლაპარაკია პოლიტიკური პარტიის შექმნაზე, გამოქვეყნებული პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოების დაარსებას. პროგრამის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს საზოგადოება იგივე პოლიტიკური პარტია, თავისი ხელმძღვანელი ბიუროთი, წევრების მიერ დადგენილებათა “ხმა-ამოუღებლივ” შესრულების მოთხოვნით და სხვ. ამასთან, მომავალი საზოგადოება უნდა იყოს არა ერთი კლასის ან საზოგადოებრივი ფენის ნარმომადგენელთა საკრებულო, არამედ ზეკლასიური ორგანიზაცია, განურჩევლად მის წევრთა “სქესისა, წოდებისა და სარწმუნოებისა”, რაც სრულად შეესაბამება ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისს.

საზოგადოების სახელწოდებად მის მესვეურთ საბოლოოდ “საქართველოს დემოკრატია” შეურჩევიათ. ამდენად, ეროვნულ-დემოკრატთა პროგრამის სათაურში აღარ გვხვდება სიტყვა “ეროვნული”. რით უნდა აიხსნას ეს?

ლეგალური მოღვაწეობისათვის გამიზნული ორგანიზაციის სახელწოდებაში ცნება „ეროვნულის“ ჩართვა, ჩვენი აზრით, ამ პოლიტიკური ორგანიზაციას დამატებით მიმზიდველობას უერ შესძენდა, პირიქით კი შეიძლებოდა მომხდარიყო: გამოირიცხებოდა ყოველგვარი იმედი რუსეთის პროგრესულ ძალებში მოკავშირის და მხარდამჭერის პოვნისა, რომ არაფერი ვთქვათ კონსერვატორული ბანაკის რეაქციაზე, რადგან „ეროვნული“ იმხანად სეპარატიზმად აღიქმებოდა. ეს კი მიუღებელი იყო იმპერიის მთლიანობასა და განუყოფლობაზე მეოცნებე რუსეთის ყველა პოლიტიკური პარტიისათვის. არც საქართველოში ჩანდა მომგებიანი პოლიტიკური ორგანიზაციის სახელწოდებაში „ეროვნულზე“ აქცენტირება. გასული საუკუნის ბოლოდან ჩენში დამკვიდრებას იწყებს მარქსისტული მსოფლმხედველობა. მისმა მიმდევარმა ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა პროპაგანდის, ძალმომრეობის, ტერორის თუ სხვა გზით შეძლეს საქართველოში სოციალისტურ შეხედულებათა გაბატონება. ამ ძალების ზღვარდაუდებელმა ინტერნაციონალიზმა საქართველოში იმდენად დაჩრდილა ეროვნული, რომ ამ იდეის ერთგულება და სამსახური საშიშიც კი გახდა.⁵³ ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, აქ კი დავსძენთ, რომ მიუხედავად სახელწოდების რამდენჯერმე შეცვლისა, ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის მაგისტრალური ხაზი იყო და დარჩა ეროვნული და დემოკ-

რატიული მსოფლხედვა, რომელიც საქართველოს სახელნიჭოფებრივ-პოლიტიკური მოწყობის ცველაზე მისაღებ (და მისაღნებ) შემთხვევა მაღ იმხანად ავტონომიას მიიჩნევდა. გ.გვაზავას სიტყვით, „დაასყიდვა რობილ ერს მეტის თქმა არ შეეძლო“.

ეროვნულ-დემოკრატია პროგრამა, ჩვენი აზრით, 1906 წ. მარტ-ში უნდა დაბეჭდილიყო. პროგრამის გამოქვეყნება პირველი ნაბიჯი იყო პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის გზაზე, მაგრამ მომავალი პარტია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე ვერ ჩამოყალიბდა და, ბუნებრივია, მას არც ამ საკრებულოს არჩევნებში მოულია მონაწილეობა. „...ინერებით, სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების ხანა კარზე მოგვადგა და ჩვენ კი არაფერი ვიცით, როგორ მოვიქცეთ. განა ჩვენ კი ვიცით! საქმიანობაში ვერ აქამომდე ჩვენ, ქართველები, რანი ვიყავით და ეხლა ამ არეულ-დარეულობაში რა უნარი უნდა გამოგვეჩინა? ჩვენ აქ ყებედობის მეტი არა ვართ-რა. ცარიელ სიტყვების წენვა-გლეჯა გვაქვს და საქმე-კი ღვთის ანაბრად არის მიგდებულიონ“, — პასუხობდა ილია ჭავჭავაძე გიორგი ურულს 1906 წ. 6 მარტს.⁵⁴

რუსეთის I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები საქართველოში დაგვიანებით, 1906 წლის მაის-ივნისში, ჩატარდა, მას შემდეგ, რაც 27 აპრილს პეტერბურგში უკვე გაიხსნა სათათბიროს პირველი სხდომა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია არც ამ დროისათვის ჩანს ასპარეზზე, თუმცა ამ მიმართულების ნარმომადგენლები უკვე გამოეყვნენ ფედერალისტებს. გ.ლასხიშვილის მოწმობით, 1906 წლის ივნის-ივლისში გამართულ კონფერენციაზე ფაქტიურად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში განხეთქილება მოხდა, უმეტესად ნაციონალ-დემოკრატები პარტიიდან გავიდნენ.⁵⁵

ფედერალისტებს კი დაშორდნენ, მაგრამ საკუთარი პარტიის შექმნა ეროვნულ-დემოკრატებმა საბოლოოდ ვერ დაასრულეს.

რა მოხდა, რატომ ვერ ჩამოყალიბდა ერთიან ორგანიზაციად პარტია, რომლის საპროგრამო დოკუმენტების შედგენაზე სხვებთან ერთად ხანგრძლივად უმუშავნია ილია ჭავჭავაძეს, — ეროვნულ-დემოკრატიული დარაზმულობის "სულის ჩამდგმელსა და აზრის მიმცემს"?⁵⁶

გრიგოლ ვეშაპელი, — ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი ამ პარტიისა, წერდა: "პოლიტიკურ პარტია პიროვნებათა ინდივიდუალური ავტონომიტით არ იქმნება.

პარტია კრებულია ერთნაირ ინტერესებით და ერთნაირ პოლიტიკურ იდეალებით შეკავშირებულ მოქალაქეთა, რომელიც მიისწარაფვის ერთ და იმავე პოლიტიკურ რეფორმებისაკენ და რომელსაც

ორგანიზაციაც აქვს ამ იდეათა მისაღწევად ანდა დასაცველად".⁵⁶

სწორედ ამგვარი ორგანიზაცია ვერ აღმოჩნდა მტკიცე იშხანული ეროვნულ-დემოკრატიულ ძალთა შორის. იყო სხვა ხელისშემშლული ფაქტორიც, რომელზეც გულისტკივილით მიუთითებდა ილია გ. უ-რულისადმი გაგზავნილ, ზემოთ არა ერთხელ დამოწმებულ ნერილ-ში: "როგორც იქნა დღეს იბეჭდება... პროგრამა, და თუ კიდევ ხელი არავინ შეგვიშალა, დაიბეჭდებაო". ვის ან რატომ უნდა შეეშალა ხელი პოლიტიკურ პარტიის პროგრამის დაბეჭდვაში, როცა უმაღლესი ხელისუფლება ამის ნებას იძლეოდა?

ამ საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელოვანია არჩილ ჯორჯაძის ერთი ნერილი ა. დეკანოზიშვილისადმი, რომელშიც ნათევამია: "სოც. დემოკრატები ჩვენს ნინაალმდევ ცუდ საშუალებებს ხმარობენ... სოც. დემოკრატ. ხელშია მთელი მოძრაობა. "საქართველოს" ადგილას ჯერ არა გამოსულა რა. ამწყობებს არ გვანებებენ სოც. დემოკრატები. უკრძალავენ ჩვენთვის მუშაობას და გაზეთის საქმე შეფერხდაო".⁵⁷ (ხაზი ჩემია, — ო.ჯ.).

თუკი სოციალ-დემოკრატები სოციალისტ-ფედერალისტებს არ ანებებდნენ გაზეთის გამოცემას, განა გასაკირი და მოულოდნელი იქნებოდა მათგან ილია ჭავჭავაძისათვის ხელისშეშლა? ქართველი სოციალ-დემოკრატები — მეუმრავლესენიც და მეუმცირესენიც — ხომ ილიაში თავიანთ იდეურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ და მისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი.

ამასვე ადასტურებს ია ეკალაძეც. მოგვიანებით, სოციალისტ-ფედერალისტებთან კამათისას იგი წერდა: "...ჩვენ "ივერიელნი" და "ცნობის ფურცლელები" ძალიან დავშორდით ერთმანეთს. "ცნობის ფურცლელები" გასოციალისტდნენ, "ივერიელნი" კი იმდენად ცოტანი ვიყავით, რომ ვეღარ გავუმელავდით მოზღვავებულს ფიზიკურ ძალას, ესდევების (სოციალ-დემოკრატების, — ო.ჯ.) დადგენილებისამებრ დავკეტეთ რედაქცია, შევწყვიტეთ გაზეთ "ივერიის" გამოცემა და გულის ტკივილით დავიფანტენით".⁵⁹ სხვა ნერილში იგივე ია ეკალაძე აღნიშნავდა: "...რომ თუ მაშინდელ "ცნობის ფურცლელებს" და ახლანდელ "სახალხოელებს" (იგივე ფედერალისტებს, — ო.ჯ) ისევე ერთგულად დაეცვათ ილია, როგორის ერთგულებითაც სდევნიდნენ მას "მოგზაური" და ზოგიერთი დასელი, ილიას ბუზსაც ვერავინ აუფრენდა... არამც თუ "სოციალისტი სახალხოელები", თვით მაშინდელი ეროვნულ-დემოკრატებიც კი შეშის ზარმა აიტანა" და თუ არა ზოგიერთების დაუინებითი მოთხოვნა, თვით ილიასეულ "ივერიაშიც" კი ადგილს არ აძლევდნენ ილიას შესანიშნავ პასუხს: "ნუ თუს"?".⁶⁰

ა.ჯორჯაძის საყურადებო ცნობას ადასტურებს ფრაგმენტი /
გ.ურულის მოგონებიდან. გ.ურულის სიტყვითაც, “ცხრაასქეფურანი-
ხანებში ქართული ნაციონალური ნრები მარქსისტ რევოლუციონერ
ნერთა ტერორის ქვეშ იმყოფებოდნენ”.⁵⁸ ამ მოვლენის თავისებურ
ფსიქოლოგიურ ახსნას ცდილობს სამსონ ფირცხალავა. “იმ წლებში,
— წერს პუბლიცისტი თავის მოგონებებში, — დაავადმყოფებული
ვიყავით “მემარცხენეობით”, ვფიქრობდით, რომ აბსოლუტურ ჭეშ-
მარიტებას დავეუფლეთ და მტრად მიგვაჩნდა ყველა, ვინც რაიმე
ნუნს სდებდა ჩვენს სიტყვას და საქმეს... უნდა გამოგვეჩინა ტოლე-
რობა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ი.ჭავჭავაძის შესახებ”.⁶¹

იმ მიზეზთა ერთობლიობაში, რომელთაც გააძნელეს და გააჭია-
ნურეს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ჩამოყალიბება, ერთ გა-
რემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება: საქმე ისაა, რომ თვით
ეროვნულ პოზიციაზე მყარად მდგარ მოლვანეთა შორისაც ჯერ კი-
დევ არ იყო შეხედულებათა ერთიანობა. ილია თავისი წლების სი-
მაღლიდან, ცხოვრებისეული ღრმა გამოცდილებით და პოლიტიკაში
რეალისტური ხედვით უმზერდა მომავალს, ახალგაზრდები კი უფ-
რო მეტ მაქსიმალიზმს იჩინდნენ. როგორც ჩანს, გარევეულად ამა-
ნაც გააძნელა შეკავშირება. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თბი-
ლისში გამომავალი რუსული გაზეთი 1906 წლის პარილში შენიშნავ-
და: “საქართველოს ავტონომიის გულწრფელი და მგზნებარე მომხ-
რე ი.ჭავჭავაძე არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის და ახ-
ლა იგი სრულიად მარტი დგასო”.⁶² რა იყო ამ სიმარტოვის მიზეზი?

ალ.ასათიანი წერს: “მესამოციანთა გაჭაღარავებული თაობა ქუ-
ჩაში გატანილი ბრძოლისათვის ვერ გამოდგებოდა. ახდილ ბრძოლა-
ში ჩაბმა... ვერ გამოიდებდა სასურველ ნაყოფს, ის მხოლოდ გააღი-
ზიანებდა რევოლუციურ ფსიქოზით შეპყრობილ ნრებს. ამის გამო
მესამოციანთა ნრე თავის დანერხებულებებს უბრუნდება და იქ გა-
ნავრძობს ეროვნული საქმის დაცვას და პატრონობას”.⁶³ მართლაც,
ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა XIX ს. 60-იანი წლებიდან საკუ-
თარი მხრებით ზიდეს ერის დაცემული ვინაობის აღდგენისა და
ეროვნული კონსოლიდაციის მთელი სიმძიმე. შემდგომი თაობა
ახალგაზრდობისა, მართალია, ილიას, აქაკის და სხვა თერგდალე-
ულთა სულიერ მემკვიდრეობაზე აღიზარდა, მაგრამ “ცხოვრების
ფერისცვალების” გავლენით, 80-90-იანი წლებიდან თანდათან გამო-
ეთიშა მასნავლებელთა ბანაკს, “ეძიებდა ჭეშმარიტებას თავისი
გზით და ამ ძეგაში ახალ დასებსა თუ პოლიტიკურ პარტიებში ინ-
ყებდა გაერთიანებას”.⁶⁴ “ახალი თაობის დიდი ნაწილი... უკიდურეს
რევოლუციონურ პარტიებს ჰყავთ თავის რიგებში მოქცეული; ამის

გამო დიდი ილიას ეს უკანასკნელი გამოწყება (პარტიის დაარსებრ, — ო.ჯ.) ვერ ჰპოლობს ლირსეულ განაღდებას მის სიცოცხლეშეწყვეტილ მომავალ თაობებს რჩება, როგორც ამ უდიდესი ქართველის უკანასკნელი კუნლი სურვილი და წმინდა ანდერძი".⁶⁵

უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემატულის კ.ინასარიძის აზრით: "უბადრუკია იმის მტკიცება, რომ ილიამ პოლიტიკური პარტიის დაარსება ვერ მოასწორო. ეს მას არ შეეძლო, რადგან მთელი ერის შერიგებას ცდილობდა... ამგვარად კი პოლიტიკური მოღვაწეობა შეუძლებელია".⁶⁶

კ.ინასარიძის ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა ასევე უცხოეთში მცხოვრებმა, ძველი თაობის ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთმა უკანასკნელმა ნარმობადგენელმა მ.ქავთარაძემ. მისი სიტყვით, კ.ინასარიძის სახით მარქსისტი ლაპარაკობს. "განსაკუთრებულ გასაფირს ხანაში, — ნერს მ.ქავთარაძე, — როგორშიაც დაპყრობილი საქართველო იყო, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა მოღვაწე მთელ ერს მიმართავს. უკანასკნელი მაგალითი დე გოლი იყო. მას თავისი მოძრაობისათვის საფრანგეთის მხოლოდ ერთი რომელიმე კლასი არ მოუწოდებია, — არამედ ყველა".⁶⁷

ასეთსავე პოზიციას იცავდნენ ქართველი ეროვნულ-დემოკრატები თავიანთი პარტიის დაარსების მომენტშიც. მათი შეხედულებით, "იქ, სადაც ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ არის, მის მაგივრობას ეროვნული და დემოკრატიული თვალსაზრისით აღჭურვილი პარტია ენევა. ეროვნული პარტია ვერ გაძყვება მარტო ერთი კლასის ინტერესით ნაკარნახებ პოლიტიკას. უსახელმწიფო ერის პოლიტიკური ვითარება იმას ითხოვს, რომ ეროვნულ დემოკრატიის შემადგენელ კლასთა ინტერესებს შორის მოინახოს ერთი სწორი მოქმედი ხაზი. ეროვნული პოლიტიკის კომპასიის არის, რომ მაქსიმუმი იქმნას მიღწეული როგორც ნაციონალ-პოლიტიკურ უფლებათა სფეროში, ისე ხალხის ქონებრივ-კულტურული მდგომარეობის განმტკიცების საქმეში".⁶⁸

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის დამაბრკოლებელ გარემოებათა შორის ანგარიში უნდა გაენიოს იმ ფაქტორს საც, რომელზედაც ჯერ კიდევ 1908 წელს მიუთითებდა ყოველკირეული გაზეთი "შრომა". კითხვაზე, თუ რატომ არ არსებობს საქართველოში ნაციონალურ-დემოკრატიული პარტია, — გაზეთი თავის მონინავეში პასუხობდა: "იმიტომ, რომ ჩვენში არ არსებობს, ან და თუ არსებობს, მეტათ სუსტია ისეთი ელემენტები, რომელსაც შეეძლოს თავი მოიყაროს ამ დროშის ქვეშ... ჩვენი ინტელიგენტების დიდი უმეტესობა თავისუფალი ხელობის კაცები არიან: ადვოკატები, აქი-

მები და სხვ. ჩვენში არ არის არც ერთი ადვოკატი, რომელიც ქონებ-
რიგათ ღონიერი იყოს. ...უმეტესი ნანილი... დატაკია, დარიძებულია
ური ლუკმის მაძიებელი. ახეთი ელემენტებისაგან შედგენილი ზემო
ტია ვერ გამოდგება საქართველოსა და მასზედ აგებულის ბურუუაზი-
ული წყობილების ფსიხიკურათ მედგარი დამცველი".⁶⁹

როგორც დავინახეთ, ახალი, ეროვნული პარტიის შექმნას ცხრა-
ასიანი წლების საქართველოში ნინ მრავალი დაბრკოლება გადაე-
ლობა. ეროვნულ-დემოკრატია პირველი ცდა ორგანიზაციულად ჩა-
მოყალიბებინათ თავიანთი პოლიტიკური პარტია, უძედეგოდ დამ-
თავრდა. ილიას ვერაგულმა მეცნიელობამ კიდევ უფრო შორს გადას-
ნია ამ განზრახვის ხორციშესხმა.

შართალია, პოლიტიკურ პარტიად ვერ ჩამოყალიბდნენ, მაგრამ
ქართველ ეროვნულ-დემოკრატებს საქმიანობა არ შეუწყვეტიათ.
ისინი აქტიურად ჩაებნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის
ბრძოლაში და სხვებთან ერთად შეამზადეს ის ნიადაგი, რომელზე-
დაც 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღმოცენდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი გეზის შემთხვევა პროგრამა

საქართველოს დემოკრატია და მისი პროგრამა

17 ოქტომბრის მანიფესტით თუმცა გამოცხადებულია რუსეთის იმპერიის მკვიდრთათვის ზოგიერთი უფლებანი (მართლწი), რომელთ საფუძვლად უდევთ თავისუფლება სიტყვის, ბეჭდურ მნერლობის, კრებების, გაფიცვის (აკვეთის) და აგრეთვე ხელშეუხებლობა ადამიანისა და ბინა-სადგურისა, მაგრამ ეგ თავისუფლებანი არა საკმაოდ შეეფერებიან, არა საკმაოდ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას როგორც ჩვენის ერის, ისეც რუსეთის უკეთეს და დაწინაურებულ ნაწილისას.

უკეთესმა ნაწილმა მნერლობისამ ჩვენშიაც და რუსეთშიაც უკვე აღნიშნა, რომ 17 ოქტომბრის შემდეგაც ბევრი რამ დარჩია განუსაზღვრელი, გამოურკვეველი, უთქმელი. მაგალითებრ, ერთის სიტყვითაც ხსნებულნი არ არიან ძირითადნი საკითხნი მინისტრთა პასუხის მგებლობისა, საოცველთაო საარჩევნო უფლებისა, პეტიციების და რეფერენდუმის ნება-რთვისა, თვით იურიდიული სახელ-წოდებაც კი არ არის ნახსენები იმ წეს წყობილებისა, რომლის შემოღებაც მანიფესტს სახეში აქვს. ყოველივე ეს ზეპირ-სიტყვითაც და ბეჭდვითაც უკვე აღნიშნულია და გამოქვეყნებული ყველგან, საცა ამის შემთხვევა ყოფილა.

გარდა ყოველ ამისა, არ არის ნაჩვენები არავითარი ნიშანი, არ არის დასახელებული არავითარი გარანტია იმისი, რომ ეგ უფლებანი, ამ შეკვეცილ და გამოურკვეველ სახით მაინც, დაეკუთნებათ მკვიდრთა სამუდამოდ და შეურყევლად. მანიფესტი ნარმოადგენს მარტო ქადილს და დაპირებას, რადგანაც ერთის სიტყვითაც არ იხსენიებს იმ ზომებს, რომელთ ძალითაც უნდა განხორციელდნენ და ცხოვრებაში დამკვიდრდნენ გამოცხადებული უფლებანი.

ეს ნებითი ტუ უნდებლიერი ნაკლი, მისის უკეთესის აზრით რომ ავსნათ, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გამოცხადებულ უფლებათა და გარანტია მათის დადგენისა და განმტკიცებისა, ვითარცა სამუდამო შეურყეველ კანონისა, ჯერ კიდევ შორს არის; რომ ერთიც და მეორეც უნდა გახდეს საგნაც ნარმომადგენელთა პირველ კრებულისა, იქნება იგი დამუშავებელობითი საკრებულო, თუ კანონ-მდებლობითი.

ხოლო ამა თუ იმა სახის წარმომადგენლობითის საკრებულოს /
მოწვევა, თუ სულაც არა, ეგრე მალე მაინც მოსალობინელი არა როდესაც
და უკვე ფეხ-ადგმულს რეაქციას შეუძლიან უფრო მეტად შემჯერებულია
ხოს დრო საკრებულოს მოწვევისა. ცხოვრება-კი არ იცდის და თით-
ქმის ყოველს საათს გვიჩენს სხვადასხვა ახალს საჭიროებას, სხვა-
დასხვა ახალს საქმეს, რომელთაც თუ დაუყოვნებლივ და თავის
დროზე წამალი არ მიეწოდა, შესაფერი გზა არ მიეცა, შესაფერი გა-
ნაჩენი არ დაედვა, შეუძლებელი-ლა მოსვენებული და მშვიდობიანი
ცხოვრება ჩვენის სამშობლოს.

აქვარაა, მთავრობა უღონოა გასწვდეს დღევანდელ რთულ ვითა-
რების სიგძე-სიგანეს. ამის გამო არამც თუ დღე-მუდამ ტოკვასა და
რეევაშია ხან აქეთ და ხან იქით, არამედ სხვადასხვა მიზეზებს იდებს,
რომ არა ჰქმნას ის, რაც დაუყოვნებლივ საჭიროა. იგი ყოველ ღონის-
ძიებას ჰემარობს, როგორმე თავი მოარიდოს, თავიდან აიცდინოს
თავისი უუნმინდაესი მოვალეობა, რომელიც მდგომარეობს იმაში,
რომ დაუყოვნებლივ მოინვიოს ერის წარმომადგენლობა, როგორც
ამას სამართლიანად ითხოვს რუსეთის უკეთესი და დანინაურებული
ნაწილი. ამ მოწვევის ლოდინში ჩვენ, ქართველებს, როგორც სხვათა
რუსეთის მკვიდრთაც, შეუძლებელი-ლა გაგვიხდა ავიტანოთ ეხლან-
დელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება. ჩვენ უნდა დიდის გონებით ჩავუფიქრ-
დეთ ჩვენს მომავალს სევ-ბედსა და ამ სევ-ბედისათვის ზრუნვას,
საცდელს და შრომას მთელის ჩვენის სულით და გულით შევუდგეთ.

ამას ითხოვს არამც თუ მარტო ჩვენი მამულის-შვილობა, არამედ
ბუნებური, ყოველ სულიერთათვის გაჩენის დღიდანვე თან-დაყო-
ლილი, გრძნობა თვით-ხსნისა, თვით-დაცვისა ყოველი განსაცდე-
ლისაგან. ამ გრძნობის ბრძანებლობა გვაიძულებს აღმოვაჩინოთ და
ვიხმაროთ ყოველივე ღონისძიება, რათა ჩვენი მრავალ-ტანჯული
სამშობლო დავიხსნათ შფოთისა და სისხლის ღრისაგან, რომელიც
ასე საშინლად, ასე გაურჩევლად ცოდვა-მადლისა დღეს უკვე გადაგ-
ვხდა და რომელსაც კვლავაც გვიქადიან ხილულნი და არა-ხილულ-
ნი განსაცდელი, წარმომდგარნი იმისგან, რომ ფიალა ერის მრავალ
მოთმინებისა უკვე აღივსო და განნირულების დღე დადგა.

ჯერ პირველ, იმის შემთხვევაში, რომ უკრად და მოუმზადებლად არ
მოგვასწროს ამა თუ იმ ვითარებამ დღევანდელ თუ ხეალინდელ
დღისამ, უცაბედად არ შეგვემთხვას ესა თუ ის განსაცდელი, რო-
მელსაც-კი მოგვივლენს დღევანდელი დღადი მოძრაობა, მეორე,
რომ გამოვარკევიოთ და აღვინიშნოთ იგი ზომები და ღონისძიებანი,
რომელთაც ძალუძი ჩამოაგდონ ჩვენს ქვეყანაში სულთ-შეუხუთავი
ნეს-რიგი, მშვიდობა და მოსვენებული ცხოვრება, და მესამე, რომ
გამოვარკვიოთ მომავლისათვის იგი დედა აზრი, რომელიც საქმე-

თა მსვლელობის მიხედვით სახელმძღვანელოდ და საქადაგებლად უნდა ვიქონიოთ, რომელნიც უნდა გავავრცელოთ, დავიცვაუ, სარჩევალი და მომხრეობა გაუწიოთ სიტყვით და საქმით, საცა-კოდროთ ჭავა უამი მოითხოვს, საჭიროა: 1) დავაარსოთ საზოგადოება, რომელსაც სახელად ერქმევა “საქართველოს დემოკრატია”.

2) ქვემოთ ამასთან ჩართული პროგრამმა მივიღოთ “საქართველოს დემოკრატიის” პროგრამმად.

3) დაიბეჭდოს ეს პროგრამმა როგორც გაზეთებში, ისე ცალკე ბროშიურებად და ამ სახით გამოცხადებულ იქნას საყოველთაო საუნიერლად.

4) პროგრამმას ჩაერთოს თხოვნა, რომ ვინც თანაზიარი იქმნება ამ პროგრამმისა, ყველა იგინი, განურჩევლად სქესისა, ნოდებისა და სარწმუნოებისა, მოემხრონ ხსენებულ საზოგადოებას და ჩაენერონ მისდა წევრად, იმ პირობით, რომ ყოველს კანონიერს დადგენილებას ამ საზოგადოებისას ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილება.

5) როცა ამ სახით წევრთა რიცხვი ავა ასს კაცამდე, მაშინ მოხდება წევრთა საზოგადო კრება ბიუროს ამოსარჩევად, მოქმედების წეს-რიგის დასადგენად და თვით პროგრამმის შესასწორებლად და შესავსებლად, თუ ეს საჭიროდ დანახულ იქნება.

6) არსებითი მოვალეობა “საქართველოს დემოკრატიისა” იმაში მდგრამარეობს, რომ ჩვენი ან დაქსაქსული ძალ-ღონე შევაერთოთ, რათა ერთობის და ერთსულობის მთელის ძლიერებითა ყოველივე საცდელი და შრომა მივმართოთ იმ ნმინდა საქმეს, რომ საქართველოს ერის ცხოვრებაში განხორციელდნენ, როგორც იგი სადღევანდელო საქმენი, რომელნიც არიან აღნიშნულნი “საქართველოს დემოკრატიის” პროგრამმაში, ისეც იგი დედა-აზრნი და თავისუფლებანი, რომელნიც შეადგენენ საგანს და არსებას დღევანდელ დიდ ისტორიულ დღისას და განმათავისუფლებელ მოძრაობისას.

პროგრამა



1) სრული პოლიტიკური ამნისტია.

2) გაუქმება იმა კანონების, ბრძანებების, ცირკულარების და ერთობ ცხადლივ და ფარულ განკარგულებების, რომელიც შეეხებიან საქართველოს მართვა-გამგეობას და რომელიც მიმართული არიან აქაურ მკვიდრთა უფლებათა შესაზღუდავად და რომელიც აქაურ მკვიდრთა გზას უღლიავს სახელმწიფო სამსახურისას ამიერკავკასიაში, და გათანასწორება მათი რუსებთან სამსახურის უფლებასა და უპირატესობაში.

3) გაუქმება საპოლიციო ("სტრაჟიკების") მწყობრისა, რომელიც შემოღებულ იქმნა ჩევნს შხარეში თ-დ გოლიცინის დროს.

4) აღდგენა იმ წესისა, რომლის ძალითაც საქართველოს მკვიდრი, განურჩევლად მოდგმისა და სარწმუნოებისა, სამხედრო ბეგარას იხდიდნენ აქავ, ამიერკავკასიის საზღვრებში.

5) ცოდნა ქართულის ენისა სავალდებულოდ იქმნას დაწესებული ყოველ კაცისათვის, რომელიც-კი მსახურობს საქართველოს საზღვრებს შორის იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამართველოებში, რომელთაც, მათდა სამსახურის საჭიროებისამებრ, პირდაპირ აქაურ მკვიდრთანა აქვთ საქმე.

შენიშვნა: ერთობ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში მოსამსახურე მოხელემ უნდა იცოდეს იმ ადგილის ენა, საცა მსახურობს.

6) ხელშეუხლებლობა ადამიანისა და ბინა-სადგურისა, თავისუფლება სარწმუნოებისა, სიტყვისა, ბეჭდურ-მწერლობისა, შეკრებისა, ამხანავობისა, კავშირისა და გაფიცვისა (აკვეთისა).

7) ქონებრივი, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თანასწორობა დედა და მამა-კაცისა.

8) პასუხის-გება თანამდებობის პირთა, რა დაწესებულებაში გინდ მსახურობდნენ, უმაღლესი დაწესებულება იქმნება, თუ უმცირესი, სასამართლოს წინაშე საზოგადო განსამართლების წესრიგით.

9) მიღებულ იქმნას საქართველოს საზღვრებს შორის, სახელმწიფო რუსულ ენასთან, ქართული ენა ენად სკოლისა, სასამართლო-სამსაჯავროსი, ადმინისტრაციის, პოლიციის და სახელმწიფო და საზოგადოებათა დაწესებულებისა.

შენიშვნა: ყოველ ეროვნებას საქართველოს საზღვრებში უნდა დაექუთნოს უფლება: იქმნიოს თავისი საკუთარი სკოლა და ამისთანა სკოლაში იხმაროს თავისი დედა ენა, დაეკუთვნოს აგრეთვე უფლება ყოველ ცალკე ეროვნებას, იხმაროს დედა-ენა ყოველ დაწესებულება-

ში იმ პროცენტიაში, საცა იგი ეროვნება აღემატება სხვებს რიცხვით.

10) დამოუკიდებლობა სამართლისა, სამსაჯულოსი და მექანიზმები თლე-მსაჯულებისა. დათხოვნა და გადაყენება სამსახურიდან მართლე-მსაჯულებისა მარტო სასამართლოს განკითხვით და განა-ჩენითა და არა სხვა რაიმე განკარგულებითა.

11) დაყოფა უფრო წვრილ-წვრილად მომრიგებელ მოსამართლე-თა სახელქვეითო ადგილებისა, რათა სამართალი დაუახლოვდეს მკვიდრთა.

12) დაწესება ნაფიცთა მსაჯულებისა და არჩევანი მოსამართლე-მსაჯულებისა და მათის კრებების დაწესება.

13) ძირითადი ცვლილება საერთო განათლების საქმისა, რათა სკოლა და ერთობ სასწავლებელი განთავისუფლებულ იქმნენ პო-ლიტიკის სამსახურობისაგან და მარტო განათლების და აღზრდის საქმეზე იყვნენ მიმართული.

14) დაწესება საყოველთაო სავალდებულო პირველ-დაწყებითის სწავლებისა უსასყიდლოდ.

15) დადგენა იმისი, რომ ფართო უფლება ჰქონდეს ყოველ საქარ-თველოს საზღვრებში მცხოვრებელს ცალკე კაცს განურჩევლად სქესისა, მოდგმისა და სარწმუნოებისა გაალოს სკოლა და სასწავლე-ბელი, გამოსცეს გაზიეთი, უურნალი და სხვა დრო-გამოშვებითი გა-მოცემანი, აგრეთვე იქონიოს ყოველგვარი სავაჭრო და ყოველგვარი სასანარმოვო საქმე და ყოველ ზემოხსენებულ საგნებისათვის საჭი-რო იყოს მხოლოდ განცხადება და არა წებართვის აღება.

16) დაფუძნება საქართველოში უნივერსიტეტისა და უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლისა.

17) გაუქმება წოდებრივის ყოველ უპირატესობისა და მოსპობა და აღმოფხვრა ბატონ-ყმობის ყოველ გვარ ნაშთისა.

18) საკუთრებად დაემტკიცოთ დროებით ვალდებულ გლეხთა მა-თი სკომლოები (Наделы), ხიზნებსაც დაენიშნოთ სივრცე საკომლო-ებისა და საკუთრებად დაემტკიცოთ. როგორც დროებით ვალდე-ბულთა საკომლოები, აგრეთვე ხიზნებისაც სახელმწიფო უნდა გა-მოისყიდოს კერძო მემამულეთაგან თავისის საკუთარის სასყიდე-ლითა ასე, რომ სასყიდელი ვალად არ დაედოთ გლეხებს.

19) შევესოთ ყოველ მინის მომქმედთა ნაკლებობა მინად-მფლობე-ლობისა ხაზინის, საუფლისწულო და საეკლესიო თავისუფალ მამუ-ლებიდამ, აგრეთვე კერძოდ-მფლობელთა მინებიდამ, რომელიც უნდა გამოისყიდოს ხაზინამ თავისი საკუთარის სასყიდელით გლეხთა დაუ-ვალებლად და დაურიგდეს განსაკუთრებით მარტო საქართველოს მკვიდრთა განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა და მოდგმისა.

20) დაერთოს გლეხებს ნება და დაემტკიცოთ უფლება იხმარონ

სახაზინო ტყეები და საძოვრები, საცა კი ხელი მიუწვდებათ.

21) დაემტეიცოთ საქართველოს ბინადარ-მკვიდრთა, განურჩევა-
ლად წოდებისა, სარწმუნოებისა და მოდგმისა, განსაუფრებელობის
უფლება დასახლებისა და დაბინავებისა საქართველოს თავისუფალ
მამულებში და ამაების განხორციელებისათვის საჭირო შეღავათი
და შემწეობა მიეცეთ.

22) განკარგება ფაბრიკის, ქარხნების და სხვა საწარმოვთ საქმის
მუშათა ყოფა-ცხოვრებისა თანახმად იმისა, რასაც ეხლანდელი მეც-
ნიერება და ვითარება თხოულობს, დადგინება სახელმწიფო სავალ-
დებულო საზღვეულობისა, როცა მუშას უბედურება რამ შეემთხვე-
ვა მუშაობაში, ან სიბერებში ჩავარდება, ან სხეულობა რამ ენვევა; და-
ნესება გაფიცვის, კავშირის, ამხანავობის და კრებების თავისუფლე-
ბისა, შემოკლება სამუშაო დღისა და მომატება გასამსჯელოსი რა-
მოდენადაც შესაძლოა.

23) შემოლება ერობისა (სოფლობისა) და შეცვლა საქალაქო წეს-
დებისა იმისდა მიხედვით, რომ დანესებულ იქმნას საყოველთავო
საარჩევნო უფლება ერთის და მეორისათვისაც.

24) შეერთება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა, ბათომის მხა-
რეს, სოხუმის და ზაქათალის ოლქებისა ერთ ცენტრალურ საქართველ-
ოს ერობად ისე, რომ ამ საერთო ერობის გარდა დასახელებულ ადგილებ-
ში დაარსებულ იქმნას ცოტად თუ ბევრად წერილ-წერილი ერობანიც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა . საერთო საქართველოს ცენტრალური ერობა უნ-
და იყოს ტფილისში.

25) განახლება ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის უფლებისა და
აღდგენა მცხეთა-ივერიის ქათალიკოსობისა საქართველოს აღრინ-
დელ საზღვრებ შორის * ქათალიკოსის მეთაურობით, რომელიც უნ-
და ამორჩეულ იქმნას უკვე ყოფილ წესისამებრ და დამტკიცებულ
უუმაღლეს მთავრობის მიერ.

26) აღდგენა იმა წესისა, რომ არქიელები და სამღვთო საეკლესიო
მსახურნი ამორჩეულ იქმნან.

27) მიეცეს საქართველოს, რომელიც შეაგენს ყოვლად განუშო-
რებელ ნანილს რუსეთის სახელმწიფოსას და რომელმაც თავისის
ნება-ყოფლიბით თავისი სვე-ბედი შეუერთა რუსეთის სვე-ბედსა,
ავტონომიური მმართველობა მეთაურობით წარმომადგენლობითის
კრებულისა. ეს კრებული უნდა არჩეულ იქმნას ყოველ საქართვე-
ლოს მცხოვრებთაგან განურჩევლად წოდებისა, სქესისა, სარწმუნო-
ებისა და მოდგმისა.

* საქართველოს საზღვრებშია: ტფილისის და ქუთაისის გუბერ-
ნიები, ბათომის და სოხუმის მხარენი და ზაქათალის ოლქი

28) საქართველოს ავტონომიურ მართველობას ექვემდებარებული მხოლოდ საქართველოს შინაურ საჭიროებათა წრის საქმენი და ამ საქმეთათვის კანონმდებლობა და გამგეობა. იგი ვერ შეეხება ვერცა მხედრობას, ვერც ფლოტს, ვერც საგარეო საქმეთა სახელმწიფო პოლიტიკას, ვერც საერთო იმპერიის საფინანსო საქმეებს.

29) ნესიერად მოქმედებს თუ არა საქართველოს ადგილობრივი ნარმომადგენლობითი კრებული, ამისი ზედამხველობა ეკუთნება აქაურ უმაღლეს მმართველს. თუ ვინიცობაა კრებულს და მმართველს ამის გამო რაიმე სადაოდ და საპოარაოდ გაუხდათ და ერთმანეთში ვერ მორიგეონენ, საქმე საბოლოოდ გადასაწყვეტად უნდა გარდაეცეს სამსაჯულოს.

30) რაც შესაძლოა, მალე მოწვეულ იქმნას საერთო იმპერიის ნარმომადგენლობითი კრებული, დამფუძნებელი საკრებულო იქმნება, თუ კანონ-მდებლობითი დამფუძნებელ საკრებულოს უფლებითი, ამორჩეული საყოველთავო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ არჩევნითა.

У истоков Национально-демократической партии Грузии

Резюме

В спектре политических организаций первой четверти XX века, особое место занимает Национал-демократическая партия Грузии, внесшая значительный вклад в борьбу за свободу и независимость нашего государства. Однако процесс формирования этой партии растянулся во времени.

В годы первой русской революции была неудавшаяся попытка создания НДП, в разработке основополагающей программы, которой активное участие принимал выдающийся деятель национально-освободительного движения Грузии Илья Чавчавадзе.

Автор первым обнаружил печатный текст этой программы, который в виде приложения включен в предлагаемое исследование. В работе также рассматриваются причины, помешавшие формированию независимой Национал-демократической партии в 1905-1906 годах.

At the Very Beginning of Founding the National-Democratic Party of Georgia

Summary

The National-Democratic Party occupies a distinguished place in the struggle for freedom of Georgia, which was crowned by the restoration of state independence on the 26th of May, 1918.

The process of the formation of this political organisation lasted more than ten years.

During the years of the first Russian revolution there was an unsuccessful attempt to establish a national-democratic party. In working out the fundamental programme of the party together with others Ilia Chavchavadze also participated.

The author of the present work was the first to find the printed text of the programme, which is attached as an appendix to the present work. It also covers the reasons which prevented the national-democrats from forming as an independent party in 1905-1906.

დამონიშვლი ცყარობი და ლიტერატურა



1. ქართველი პოეტის მკვლელები, "ნიშადური", 1908 წ., 10 ფურთულობა.
2. ალ.ასათიანი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (1917-1937 წ.), "ქართული მნერლობა", 1990 წ., N3. გვ.85.
3. "პატარა გაზეთი", 1906 წ., 7 მარტი.
4. გ.ლასხიშვილი, მემუარები, თბ. 1992 წ. გვ.200.
5. ისევ სახელმწიფო სათათბიროზე, "ცნობის ფურცელი". 1906 წ., 5 მარტი.
6. კ.ა., შავი დღეები, "ივერია", 1906 წ., 5 მარტი.
7. ამ დოკუმენტს ადრესატამდე არ მიუღწევია. შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუძლებლად მიუჩნევია ქართველ თავად-აზნაურთა ადრესის იმპერატორისათვის წარდგენა.
8. კ.აბაშიძე, დიდებული მოძღვარი, "ისარი", 1907 წ., 20 სექტემბერი.
9. "ივერია", 1905 წ. 2, აპრილი.
10. მ.ბოლქვაძე, ახლო წარსულიდან, "განათლება", 1908 წ., N3-4, გვ. 113-114.
11. იქვე, გვ. 119.
12. "საქართველო", 1905 წ., N24.
13. დაიბეჭდა პარიზში გამომავალ ემიგრანტულ ჟურნალ "ქართლოსში" 1937 წელს, იხ. გ.შარაძე, საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე, თბ. 1986 წ., გვ. 154-204.
14. იქვე, გვ. 198.
15. ფ.გოგიაშვილი, არჩევნების წინ, "ივერია", 1906 წ., 23 აპრილი.
16. "Кавказское утро", 1906 г, 28 февраля (გამოდიოდა გაზ. "Возраждение"-ს ნაცელად).
17. ახალი ქართული პარტია, "ცნობის ფურცელი", 1906 წ., 1 მარტი.
18. ნაცნობი, საკვირაო საუბარი, "პატარა გაზეთი", 1906 წ., 5 მარტი.
19. დ.შველიძე, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები, თბ. 1993 წ., გვ. 206.
20. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთიმე თაყაიშვილის ფონდი, საქ. N700, ფურც.5. შეადარე, "თბილისი", 1989 წ., 25 მაისი.
21. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი, "მოძღვარი", 1990 წ. 22 აპრილი.
22. ივ.ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962 წ., გვ. 14-15.
23. ალ.ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნი I, ვალანტინი, 1928 წ., გვ. 124-125. შეადარე, "მაცნე", ისტორიის სერია, 1987 წ., N3, გვ.40.



24. გ.შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ”, 2, თბ. 1993 წ., გვ.127.

25. სპ.კედია, ილია ჭავჭავაძე (ერთი თვალის გადავლების), „კრებულში: ილია ჭავჭავაძე”, პარიზი, 1988 წ., გვ.32.

26. გ.გვაზავა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, პარიზი, 1928 წ., გვ.17. შეადარე “კომუნისტი”, 1990 წ., 16 სექტემბერი.

27. პ.რატიანი; ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ. 1954 წ., გვ. 304-316. ამ ნიგნის პირველი გამოცემა ჩვენთვის საინტერესო პუბლიკაციას არ შეიცავდა.

28. ვ.აბაშმაძე, სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების ნათელი პროგრამა, „ცისეკარი”, 1985 წ., N12, გვ. 136-143.

29. ვ.აბაშმაძე, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა, „დროშა”, 1986 წ., N11, გვ.12.

30. შ.ბადრიძე, ფრთხილად, დიდი ილია! “კომუნისტი”, 1988 წ., 17 იანვარი.

31. Г.Мамулиа, о политическом идеале Ильи Чавчавадзе, “Литературная Грузия”, 1987 г. N10, стр. 55-87.

32. გ.მამულია, ილია ჭავჭავაძე და ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა, “მაცნე”, ისტორიის სერია, 1987 წ., N3. გვ. 40-60; მისივე მსგავსი სათაურის ნერილი, “განთიადი”, 1987 წ., N6, გვ. 161-187.

33. შ.ბადრიძე, დასახ. სტატია.

34. ლ.ალექსიძე, მრაქტიკული გზების ძიებაში, “კომუნისტი”, 1988 წ., 16 ივლისი; მისივე ისტორიული სინამდვილე მხოლოდ ჭეშმარიტ ფაქტებს შეიძლება ყყრდნობოდეს, “ლიტერატურული საქართველო”, 1990 წ., 16 მარტი; მისივე, პასუხი ოპონენტს, “ლიტერატურული საქართველო”, 1990 წ., 15 ივნისი.

35. გ.შარაძე, ფაქტი და სინამდვილე. “კომუნისტი”, 1988 წ., 31 აგვისტო; მისივე, ილია ჭავჭავაძე, ფოტომატიანე, ნიგნი 2, თბ. 1990 წ., გვ. 224-272.

36. გ.მამულია დიდი ილია და ამაო სიფრთხილე, „კომუნისტი”, 1988 წ., 7 აპრილი; მისივე ილია ჭავჭავაძე და 1905-1906 წლების ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში, “ლიტერატურული საქართველო”, 1989 წ., 27 იანვარი. ვ.აბაშმაძე, ილია ჭავჭავაძე — სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები, თბ. 1987 წ.; მისივე, უსათაურო ნერილი, “ლიტერატურული საქართველო”, 1990 წ., 15 ივნისი.

37. ილიას სამრეკლო, თბ. 1987 წ., გვ. 30-31.

38. გ.ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 74.

39. ნერილი გიორგი შერულისადმი, ი.ჭავჭავაძე, თხზულებანი 10



ტომად, ტ. 10, თბ. 1961 წ., გვ. 166.

40. გ. ურულის ცნობით, პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა და რა მდენიმე დღის შემდეგ არსენა ჯორჯიაშვილმა ყუმბარით მოკლებულა გენერალი გრიაზნოვი. ამ ფაქტს კი 1906 წ. 16 იანვარს ჰქონდა ადგილი.

41. ალ. ასათიანი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, „ქართული მნერლობა“, 1990 წ., N3. გვ. 85-86.

42. გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 200.

43. ა. ჯორჯაძე, შეთანხმების იმედი, თხზ. ტ. 1, თბ. 1911 წ., გვ. 230.

44. გ. მამულია, დიდი ილია და ამაო სიფრთხილე, „კომუნისტი“, 1988 წ., 7 აპრილი.

45. „შრომა“, 1906 წ., 2, 18 აპრილი; „ივერია“, 1906 წ., 23 აპრილი.

46. მ. ტუდუში, გიორგი დეკანოზიშვილი, „კავკასიონი“, 1965 წ., X, პარიზი, გვ. 162.

47. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 95, აღნ. 1, საქ. N42. ფურც. 171-172.

48. გ. ლეონიძის სახელმწიფის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, იაკობ ფანცხავას ფონდი. საქ. N4146-б.

49. გ. შარაძე, დასახ. სტატია; მისივე, ილია ჭავჭავაძე, ფოტომატიანე, ნიგზი 2, გვ. 257.

50. ლ. ალექსიძე, ისტორიული სინამდვილე..., „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ., 16 მარტი.

51. П. МИЛЮКОВ, Воспоминание, М., 1991 г. ст. 209.

52. აღმოჩნდა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ინტერვიუ ო. ჯანელიძესთან, „კავკასიონი“. 1995 წ., 4 თებერვალი.

53. ო. ჯანელიძე, ეროვნულ-დემოკრატია პირველი გაზეთი, „კავკასიონი“, 1995 წ., 10 ივნისი.

54. ნერილი გიორგი უურულისადმი, ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 10, გვ. 166.

55. გ. ლასხიშვილი, მემუარები, გვ. 207; შეადარე, „კავკასიონი“, პარიზი, 1965 წ., X, გვ. 157.

56. გ. ვემაპეტი, ყრილობისათვის, „საქართველო“, 1917 წ., 4 ივნისი.

57. მ. ტუდუში, დასახ. სტატია, გვ. 161-162.

58. „ივერია“, 1983 წ., N26, პარიზი, გვ. 18.

59. ი. ეკალაძე, რას იყვედრებიან ჩვენი ფედერალისტები? „სამშობლო“, 1916 წ., 23 აპრილი.

60. პასუხის მაგიერ „სახალხო ფურცელს“, „სამშობლო“, 1916 წ., 26 ივნისი.

61. ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ. 1988 წ., გვ. 73.

62. „На повороте“, 1906 წ., 11 априля.

63. ალ. ასათიანი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, „ქართული



- მწერლობა", 1990 წ., N3, გვ. 85.
64. ა.სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის დამზადება
იდან, თბ. 1980 წ., გვ. 144.
65. ალ.ასათიანი, ძველი და ახალი მემკვიდრეობა, გვ. 124-125.
66. "ივერია", 1984 წ., N27, პარიზი, გვ. 24.
67. იქვე.
68. გ.ეშაპელი, ყრილობისათვის, "საქართველო". 1917 წ., 4 ივნისი.
69. *Pro domo suo* — შინაობაში, "შრომა", 1908 წ., 23 მარტი.



ტირაჟი 1000
ფასი სახელშეკრულებო
გამომცემლობა „ნიკე“

